პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 144 (19586) ◆ შაბათი, 21 ივნისი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ვინ
მოიპოვებს
„კომუნისტის“
ვიმპელს?

**ვთიბოთ
და
ვთიბოთ
ბალახი!**

ᲗᲘᲑᲐᲗᲕᲘᲡ ᲗᲐᲓᲐᲠᲘᲒᲘ

ᲒᲚᲘᲚᲐᲜᲘ. („კომუნისტის“ კორ.). ვთიბოთ და ვთიბოთ ბალახი!... „კომუნისტის“ ვიმპელის მოსაპოვებლად ამ დევიზით იბეჭდება მასალები გაზეთის ფურცლებზე. ბალახი მართლაც ითიბება, მაგრამ თიბათვეში პურეულის მკაც დაიწყო და კიდევ კარგი, რომ სენაჟის ჩადება რაიონში მთავრდება და მექანიზატორთა ნაწილმა ქერის მკაზე გადაინაცვლა.

წელს რაიონში 30.000 ტონა მარტო სენაჟი უნდა დამზადდეს. გარდა ამისა 14.000 ტონა თივა, 1.500 ტონა ბალახის ფხვნილი და 70.000 ტონა სილოსი უნდა მოუმარაგონ საკვებმომპოვებლებმა პირუტყვს. როგორ სრულდება დანაპირები?

ამინდი მემინდვრე-მექანიზატორებს არ ანებივრებს, მაგრამ მუშაობა ამინდს როდი ეპუებოდა! 30.000 ტონა სენაჟიდან უკვე ჩადებულია 26.000 ტონაზე მეტი. სენაჟის ჩადების გეგმა შეასრულეს და ახლა გადამეტებით ამზადებენ ამ ყუთითან საკვებს ჯუგაანის, ბოდბისხევის, ბოდბის ორჯონიკიძის სახელობის, ტიბანის, ვაქირის, ძველანაგის, ანაგის კოლმეურნეობები და წნორის მეცხოველეობის კომბინატი. კომპლექსის საკვებმომპოვებლებმა 20 ათასი ტონის ნაცვლად 22 ათასი ტონა სენაჟი ჩადეს.

თივა რაიონში ჯერჯერობით ათას ტონამდეა დამზადებული, ბალახის ფხვნილი — 1.050 ტონა, სილოსი — 3.600 ტონა.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗᲐᲜ: მოწინავე მექანიზატორი თემურ ჯავშვილი; სენაჟე ბალახის ალება წნორის მეცხოველეობის კომპლექსში.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ 1986-1990 ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ �გᲔᲒᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

მუხლი 1. დამტკიცდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლების სახელმწიფო გეგმა, რომელიც განაწილებულია ხუთწლედის წლების, სსრ კავშირის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით და შემუშავებულია სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებისა და სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად.

მუხლი 2. დაწესდეს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლების სახელმწიფო გეგმის შემდეგი ძირითადი მაჩვენებლები:

(პროცენტობით 1985 წელთან შედარებით)

	1986 წელი	1987 წელი	1988 წელი	1989 წელი	1990 წელი
მოხმარებისა და დაგროვებისათვის გამოყენებული ეროვნული შემოსავალი	103,8	108	112,4	117,1	122,1
მრეწველობის პროდუქცია — სულ	104,3	108,9	113,8	119,1	125
მათ შორის:					
წარმოების საშუალებათა წარმოება	104,3	108,8	113,6	118,7	124,3
მოხმარების საგნების წარმოება	104,4	109,2	114,3	120,4	127
სახელმწიფო ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებანი	109,9	108,9	110,9	112,8	115,1
შრომის ნაყოფიერება:					
მრეწველობაში	104,1	108,7	113,6	118,9	125
მშენებლობაში	103,5	107,3	111,6	116,2	121
რკინიგზის ტრანსპორტზე	102,1	104,4	106,9	109,4	112
მოგება სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციების საძეურნეო საქმიანობისაგან	109,3	118,5	128,3	139,3	152,7
რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე	102,5	105	108	111	114
სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა (ალკოჰოლური სასმელების რეალიზაციის მოცულობის გარეშე)	105,9	112,2	118,8	125,9	133,4

1986-1990 წლებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების საშუალო წლიური მოცულობა წინა ხუთწლედთან შედარებით გაიზარდოს 14,4 პროცენტით. ხუთწლეულის მანძილზე სოფლის მეურნეობის საზოგადოებრივ სექტორში 21,4 პროცენტით გადიდდეს შრომის ნაყოფიერების საშუალო წლიური დონე.

მუხლი 3. სკკპ XXVII ყრილობის მიერ მიღებული სოციალური განვითარებისა და სახალხო კეთილდღეობის გაუმჯობესების პროგრამის შესრულების მიზნით მეთორმეტე ხუთწლედში უზრუნველყოფილ იქნეს, რომ:

წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის საფუძველზე მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი გაიზარდოს 14,7 პროცენტით და კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება საზოგადოებრივ მეურნეობაში — 18 პროცენტით;

მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები გადიდდეს 25 პროცენტით, გაძლიერდეს მათი როლი საწარმოო და სოციალურ-დემოგრაფიული პრობლემების გადაჭრაში;

მოსახლეობისათვის ფასიანი მომსახურების გაწევის მოცულობა გადიდდეს 1,5-ჯერ;

საექსპლოატაციოდ გადაეცეს 595 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. გაუმჯობესდეს სანიაო შენებლობის ხარისხი, საბჭოთა ადამიანების სანიაო პირობები.

სკკპ XXVII ყრილობის მიერ დამტკიცებული სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა შესაბამისად მეთორმეტე ხუთწლედში განხორციელდეს ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების ღონისძიებანი, მათ შორის:

სახალხო მეურნეობის საწარმოო დარგებში ეტაპობრივად, საჭირო პირობების შექმნისა და რესურსების გამოძენის კვალობაზე, უმთავრესად თვით გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების სახსრების ხარჯზე გაიზარდოს მუშა-მოსამსახურეთა სატარიფო განაკვეთები და თანამდებობრივი სარგოები;

დამთავრდეს მასწავლებლებისა და სახალხო განათლების სხვა მუშაკთა ხელფასის ზომატების ღონისძიებათა განხორციელება, რომელიც დაიწყო მეთერთმეტე ხუთწლედში;

დაიწყოს ჯანმრთელობის დაცვის, კულტურისა და უმაღლესი სკოლის მუშაკთა ხელფასის ეტაპობრივი გადიდება;

გაძლიერდეს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიური და საპროექტო ორგანიზაციების მუშაკთა ხელფასის კავშირი ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიის შემუშავებისა და დანერგვისაგან მიღებულ ეფექტთან;

შემოღებულ იქნეს მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის პროცენტული წანამატები შორეული აღმოსავლეთისა და აღმოსავლეთ ციმბირის რაიონებში განლაგებულ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მუშაობის უწყვეტი სტაჟისათვის;

დაწესდეს იმ მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის რაიონული კოეფიციენტები, რომლებისთვისაც ისინი შემოღებული არ არის, ურალში, ყაზახეთის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ რაიონებში და ვოლგოდისა და კიროვის ოლქების ჩრდილოეთ რაიონებში.

გაიზარდოს მეორე და მესამე ცვლების ხელფასის გადასახადები. შემცირდეს თვეში 80-დან 100 მანეთამდე ხელფასის გადასახადები;

ეტაპობრივად, ქვეყნის რაიონების მიხედვით, გაუდიდდეთ ნაწილობრივ ფასიანი შვებულების ხანგრძლივობა დედებს ბავშვის მოსავლელად წლინახევრის ასაკის მიღწევამდე, ამავე დროს მიეცეთ დამატებითი უხელფასო შვებულების უფლება, სანამ ბავშვი ორი წლის ასაკს მიაღწევდეს;

გაუდიდდეთ მომუშავე ქალებს 56-დან 70 კალენდარულ დღემდე შობიარობამდე შვებულების და 14 დღემდე ავადმყოფი ბავშვის მოვლისათვის ანაზღაურებული შვებულების ხანგრძლივობა;

გაიზარდოს 8-დან 12 წლამდე იმ ბავშვთა ასაკი, რომლებისთვისაც დანამარება ეძლევათ ხელმოკლე ოჯახებს;

გადიდდეს კვების ხარჯვის ნორმები სკოლამდელ დაწესებულებებში, უზრუნველყოფილ იქნეს უფასო სამკურნალოწამლო საშუალებებით 3 წლამდე ასაკის ბავშვები;

გაუუქმდეთ ახალდაქორწინებულებს მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადის გადახდევინება ქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან პირველი წლის განმავლობაში. გაუდიდდეთ ასაკისა და ინვალიდობის პენსიათა მინიმალური ოდენობა მუშა-მოსამსახურეებს და პენსიები მარჩენალის დაკარგვის გამო, აგრეთვე კოლმეურნეებს წინათ დანიშნული პენსიები;

სოფლად მუდმივად მცხოვრები და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული პენსიონერებისათვის შემოღებულ იქნეს დადგენილი ნორმების 100 პროცენტის ოდენობით პენსიების გადახდა; განხორციელდეს ბავშვობიდან ინვალიდებისათვის პენსიების ოდენობის გადიდებისა და მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესების ღონისძიებანი;

გაიზარდოს დიდი სამამულო ომის ინვალიდთა ჰოსპიტლებში, სამშობიარო სახლებში, ცენტრალურ, საქალაქო და რაიონულ საავადმყოფოებში კვებითა და მედიკანტებთან, აგრეთვე ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებებში მედიკანტებით უზრუნველყოფის ნორმები;

გაიზარდოს მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატებში კვების, მედიკანტებისა და სხვა საჭიროებებისათვის ხარჯების ნორმები;

გაგრძელდეს სახელმწიფო შინაგანი სესხების დაფარვა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განსაზღვროს აღნიშნულ სოციალურ-ეკონომიკურ ღონისძიებათა განხორციელების კონკრეტული ვადები და უზრუნველყოს მათი შესრულება.

გაიზარდოს შრომის ანაზღაურების სისტემის ეფექტიანობა, უფრო მჭიდროდ დაუკავშირდეს მუშაკთა გასამრჯელოს ოდენობა მათ შრომითს წვლილს, გადაჭრით აღმოიფხვრას გათანაბრების ელემენტები, გაძლიერდეს მატერიალური და მორალური პასუხისმგებლობა მუშაობაში ნაკლოვანებებისა და ხარვეზებისათვის. გაუმჯობესდეს ხელფასის ოდენობის თანაფარდობა სახალხო მეურნეობის დარგებისა მიხედვით, აგრეთვე მშრომელთა სხვადასხვა კატეგორიის მიხედვით შესრულებულ სამუშაოთა სირთულისა და პირობების გათვალისწინებით. გაიზარდოს საინჟინრო შრომის პრესტიჟულობა. გადიდდეს ოსტატთა, ტექნოლოგთა და კონსტრუქტორთა როლი და ავტორიტეტი, გაძლიერდეს მათი შრომის მატერიალური და მორალური სტიმულები და მუშაობისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულება.

თანამიმდევრულად განხორციელდეს საცალო ფასების პოლიტიკა მოსახლეობის რეალური შემოსავლის გადიდების ამოცანათა შესაბამისად. უზრუნველყოფილ იქნეს სხვადასხვა ჯგუფის საქონლის ფასების ეკონომიკურად და სოციალურად დასაბუთებული თანაფარდობა. განხორციელდეს ცალკეული საქონლის ფასების დაკლება მისი წარმოების ეფექტიანობის გადიდებისა და თვითღირებულების შემცირების, საჭირო სასაქონლო და საფინანსო რესურსების დაგროვების კვალობაზე.

უზრუნველყოფილ იქნეს სახალხო განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება და განმტკიცება და მოსახლეობის სოციალურ-კულტურული მომსახურების გაუმჯობესება.

მუხლი 4. დამტკიცდეს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლების სახელმწიფო გეგმის შემდეგი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლები მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით.

	მიელი მრეწველობისა და რესპუბლიკის ტერიტორიაზე	მოკავშირე რესპუბლიკის საკავშირო-და რესპუბლიკური სამინისტროების სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებებისა	მრეწველობის პროდუქცია 1990 წელს 1985 წელთან შედარებით: სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების საშუალო-წლიური მოცულობა 1986-1990 წლებში 1981-1985 წლების საშუალო-წლიურ მოცულობასთან შედარებით	სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა (ალკოჰოლური სასმელების რეალიზაციის მოცულობის გარეშე) 1990 წელს 1985 წელთან შედარებით (შესადარებელი ფასებით)
რუსეთის სფსრ	123	120	115	135
უკრაინის სსრ	121	114,7	114	130
ბელორუსიის სსრ	125	117,9	113	134
უზბეკეთის სსრ	128	124,7	116	133
ყაზახეთის სსრ	126	120,3	113	134
საქართველოს სსრ	125	119,5	114	128
აზერბაიჯანის სსრ	123	121,6	114	131
ლიტვის სსრ	119	115,7	114	130
მოლდავეთის სსრ	124	112,9	116	124
ლატვიის სსრ	118	116	114	129
ყირგიზეთის სსრ	124	118,3	113	140
ტაჯიკეთის სსრ	126	118,6	113	130
სომხეთის სსრ	128	121,5	112	134
თურქმენეთის სსრ	123	121,4	114	129
ესტონეთის სსრ	115	115,6	113	121

დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებს მიიღონ კანონები ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლების ხუთწლიანი გეგმების შესახებ, შეიტანონ მათში რესპუბლიკის ტერიტორიაზე მთელი მეურნეობის განვითარების უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლები.

მუხლი 5. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა და უწყებებმა:

ა) იხელმძღვანელონ სკკპ XXVII ყრილობის მიერ დამტკიცებული სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებებით და ამ კანონით და უზრუნველყონ, რომ თითოეულმა გაერთიანებამ, საწარმომ, ორგანიზაციამ შეადგინოს ხუთწლიანი გეგმები ხუთწლედის წლების მიხედვით;

ბ) განახორციელონ ეკონომიკის განვითარების, წარმოების ეფექტიანობის გადიდებისა და სოციალურ ამოცანათა რეალიზაციის დადგენილ დავალებათა შესრულების ღონისძიებანი.

უზრუნველყონ ხუთწლიანი გეგმის განხორციელების დროს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების ფართოდ დანერგვის, საწარმოო პოტენციალის ინტენსიური გამოყენების, ეკონომიის რეჟიმის გაძლიერების, სათბობის, ენერგიის, ნედლეულის, მასალების რაციონალური ხარჯვის, სამეურნეო ბრუნვაში მეორეული რესურსების მოქცევის, წარმოებისა და მართვის ორგანიზაციის სრულყოფის, შრომის ნაყოფიერების ზრდის საფუძველზე;

გ) დაუწესონ მკაცრი კონტროლი საქვეუწყებო გაერთიანებების, საწარმოებებისა და ორგანიზაციების მიერ ხუთწლიანი გეგმების დავალებათა შესრულების მიმდინარეობას, ხუთწლედის პირველი წლიდანვე უზრუნველყონ მუშაობის ზუსტი, დაძაბული რიტმი, განამტკიცონ სახელმწიფო, საგეგმო და შრომის დისციპლინა სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში, ფართოდ გაშალონ ყველა ფორმის სოციალისტური შეჯიბრება.

მუხლი 6. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა განახორციელონ პრაქტიკული ღონისძიებანი, რომელთა მიზნია სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახული სამეურნეო მართვის სისტემის ძირეული გარდაქმნის ამოცანათა გადაწყვეტა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე მეურნეობრიობის მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების, საზოგადოებრივი წარმოების თითოეული რგოლის მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების, შრომითი კოლექტივების ინიციატივისა და სოციალისტური გერგილიანობის განვითარების ამოცანათა გადაწყვეტა. უზრუნველყონ გაერთიანებათა და საწარმოთა სამეურნეო დამოუკიდებლობის გაფართოება მართვის ეკონომიკურ მეთოდებზე, სამეურნეო ანგარიშის გლობალურ ბაზაზე მტკიცე გადასვლის თვითდაფინანსების პრინციპის უფრო ფართო გამოყენების საფუძველზე. თანამიმდევრულად სრულყონ მართვის ორგანიზაციული სტრუქტურები, მიაღწონ სამეურნეო მართვის აპარატის გამარტივებასა და გაიაფებას, ამავე დროს გაადიდონ მისი საქმიანობის ეფექტიანობა.

მუხლი 7. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განიხილოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივ კომისიათა დასკვნაში ჩამოყალიბებული წინადადებები და შენიშვნები სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლების სახელმწიფო გეგმის შესახებ, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების სხდომებზე დეპუტატთა მიერ გამოთქმული წინადადებები და შენიშვნები და მიიღოს მათ გამო შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. გრომიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1986 წლის 19 ივნისი.

ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲙᲠᲔᲛᲚᲨᲘ

19 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ი. რიჟკოვმა კრემლში მიიღო მონაწილენი საბჭოთა ორგანიზაციებისა და დასავლეთის ქვეყნების საქმიანი წრეების წარმომადგენელთა მეორე შეხვედრისა, რომელიც მოსკოვში მოწყვეს სსრ კავშირის სავაჭრო-სამრეწველო პალატამ და საერთაშორისო სავაჭრო პალატამ.

მიესალმა რა 106 ქვეყნის საქმიანი წრეების უდიდესი არასამთავრობო ორგანიზაციის — საერთაშორისო სავაჭრო პალატის წარმომადგენლებს, ნ. ი. რიჟკოვმა აღნიშნა, რომ პალატის საქმიანობა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებისათვის ხელს უწყობს სხვადასხვა ქვეყნების ურთიერთგაგებას, მშვიდობის შენარჩუნებას და ამიტომ იწვევს თანაგრძნობასა და მხარდაჭერას საბჭოთა კავშირში.

გაიმართა საუბარი დასავლეთის ქვეყნებთან საბჭოთა კავშირის საქმიანი თანამშრომლობის პერსპექტივებზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებისა და მასალების და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე მიღებული მეთორმეტე ხუთწლიანი გეგმის მიხედვით გამოავლინეს თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთსაგებლიანობის საფუძველზე სსრ კავშირისა და დასავლეთის ქვეყნების ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის გაფართოების შესაძლებლობანი. საბჭოთა კავშირის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ფართო მასშტაბის გეგმები განუყოფელია დაკავშირებული მის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკასთან, რომელიც კვლავ დადასტურდა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის ბუდაპეშტის თათბირზე შედეგები.

აღინიშნა, რომ სკკპ XXVII ყრილობის გენერალური კურსის თანამიმდევრული განხორციელება ხელს შეუწყობს შრომის საერთაშორისო დანაწილებაში საბჭოთა კავშირის შემდგომ მონაწილეობას, მისი საგარეო-სავაჭრო ურთიერთობის, მათ შორის დასავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობის სტრუქტურის სრულყოფასა და ეფექტიანობის გადიდებას.

საუბრის დროს ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ საერთაშორისო ვაჭრობაში ამჟამად არსებულ დაბრკოლებათა აღმოფხვრა, დასავლეთის გარკვეული წრეების მიერ საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის დარგში ზემოქმედების პოლიტიკაზე უარის თქმა საკავშირო პირობებს შეუქმნის ფართო ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობას იმ პრინციპების სულისკვეთებით, რომლებიც ჩამოყალიბებულია ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის საბოლოო აქტის ეკონომიკურ განყოფილებაში.

შეხვედრის მონაწილე საერთაშორისო სავაჭრო პალატისა და საქმიანი წრეების წარმომადგენლებმა დადებითად შეაფასეს სსრ კავშირის მეცადინეობა საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებისათვის და განაცხადეს, რომ ამირებენ ხელი შეუწყონ აღმოსავლეთისა და დასავლეთის სავაჭრო-ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური ურთიერთობის ინტენსიფიკაციას.

საუბარში მონაწილეობდნენ საერთაშორისო სავაჭრო პალატის პრეზიდენტი ჰ. ფ. ვან დენ ჰოვენი და მისი ხელმძღვანელობის სხვა წარმომადგენლები, აგრეთვე ბელგიის, დიდი ბრიტანეთის, საბერძნეთის, ირლანდიის, იტალიის, ესპანეთის, კანადის, ნიდერლანდის, ნორვეგიის, პორტუგალიის, ამერიკის შეერთებული შტატების, თურქეთის, ფინეთის, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამრეწველო, სავაჭრო და საფინანსო კომპანიების ხელმძღვანელი მოღვაწენი. (საკდესი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

ᲕᲘᲛᲣᲨᲐᲝᲗ ᲐᲮᲚᲔᲑᲣᲠᲐᲓ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა იმ ღონისძიებათა საკითხი, რომლებსაც საქართველოს კომპარტიის ცხაკიას რაიკომი ახორციელებს სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად მუშაობის სტილისა და მეთოდების შეცვლისათვის.

მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ ამ მიმართულებით პარტიის რაიკომი გარკვეულ მუშაობას ეწევა. პირველადი პარტიული ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების კრებებზე, პარტიის რაიკომის პლენუმზე განიხილეს იმ ამოცანათა განხორციელების პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებიც სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარეობს. ეს ღონისძიებანი აისახა გეგმებში, რომლებიც კონკრეტულად ითვალისწინებენ რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, გერგილიანობისა და ინიციატივის ატმოსფეროს დამკვიდრების საკვანძო პრობლემებს.

რაიკომის საქმიანობა მიზნად ისახავს გარდაქმნისათვის პირობების შექმნას, უწყებრიობის, ქაღალდმთხზველობისა და სხვა ბიუროკრატიული გამოვლინებების აღმოფხვრას, მუშაობის ყველგანსული ფორმებისა და მეთოდების დაძლევას.

ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობის სიმძიმის ცენტრი გადადის პირველადს პარტორგანიზაციებსა და შრომითს კოლექტივებზე. გაძლიერდა ინდივიდუალური მუშაობა. შემცირდა სხდომების, თათბირების, ადგილებიდან მუშაკთა გამოძახების რიცხვი. ერთიორად შემცირდა საკითხები, რომლებსაც განიხილავენ პარტიის რაიკომის ბიუროს სხდომებზე.

რაიონის ეკონომიკისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისადმი ხელმძღვანელობის სრულყოფის ღონისძიებანი ხელს უწყობს მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი პრობლემების დაჩქარებულ გადაჭრას. გაუმჯობესდა მეცხოველეობის პროდუქტიულობის მაჩვენებლები, დაჩქარდა სამრეწველო წარმოების, შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი, შემცირდა ჩამორჩენილ საწარმოთა რაოდენობა. დადებითი ძვრებია მიღწეული დისციპლინის განმტკიცებაში, არსებითად იკლო სამუშაო დროის დანაკარგებმა მრეწველობაში და მშენებლობაზე მომუშავე ერთ კაცზე გაანგარიშებით, მკვეთრად შემცირდა იმ პირთა რიცხვი, რომლებიც არ არიან დასაქმებული სოციალურ-ეკონომიკურ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში.

ამასთანავე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ საქმიანობის გარდაქმნისათვის პარტიის რაიკომის ორგანიზატორულ მუშაობაში ჯერ კიდევ შეინიშნება გარკვეული ნაკლოვანებები და ხარვეზები.

ნელა აღმოიფხვრება პარალელიზმი და დუბლირება რაიონული ორგანოების საქმიანობაში. არის შემთხვევები, როცა ერთი და იმავე კოლექტივის საქმიანობას მრავალგზის განიხილავენ პარტიის რაიკომი, რაიაღმასკომი, რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანება, სახალხო კონტროლის კომიტეტი, კომკავშირის რაიკომი, საწარმოების, მეურნეობების, ორგანიზაციების ნაწილს კი არსებითად კონტროლი არ ეწევა.

საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ზოგიერთი ხელმძღვანელი კვლავინდებურად იფარგლება მხოლოდ საშემსრულებლო ფუნქციებით, ვერ ელვება რა ფორმალიზმს, შაბლონს მუშაობაში თავს არიდებს გაბედულ, დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებას. ამ ნაკლოვანებათა დაძლევაში პარტიის რაიკომის დახმარება ყოველთვის ეფექტიანი როდია. მაგალითად, დარგობრივი განყოფილებები ჯერ კიდევ წყვეტენ ოპერატიულ-სამეურნეო საკითხებს, რომლებიც რაისაბჭოს აღმასკომის ან რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების კომპეტენციაში შედის.

ყველა ორგანიზაციაში როდი დაძლიეს საკუთარი შედეგების შეფასებაში თვითკმაყოფილების განწყობილება, ნელა აღმოიფხვრება არადამაკმაყოფილებელი საქმის ვითარების მხოლოდ ობიექტური მიზეზებით გამართლების ტენდენცია, ჯერჯვან ოპერატიულობას არ იჩენენ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისას. საჭირო გარდატეხა არ მომხდარა კოტიანეთის, ახალი სენაკის, კოლხეთის ეთერზეთოვანი და სხვა მეურნეობების პარტიული ორგანიზაციებისა და ხელმძღვანელი კადრების საქმიანობაში. რადიკალურად ვერ გააუმჯობესეს საქმის ვითარება ხალიჩების კომბინატში.

ბევრ საწარმოში არ არის მოგვარებული მოწინავე გამოცდილების ქმედითი პროპაგანდა, სუსტად გამოიყენება შრომის მატერიალური სტიმულირების ფორმები, არ უზრუნველყოფენ ადამიანებთან მუშაობაში იდეოლოგიურ მიდგომას, ფართო საჯაროობას, სოციალურ სამართლიანობას შედეგების შეფასებაში.

არსებულ ნაკლოვანებათა დაძლევაში ჯერ კიდევ პასიური მთელი რიგი პირველადი პარტიული ორგანიზაციების პოზიცია. ყველგან არ უზრუნველყოფენ პრინციპულ მიდგომას კომუნისტების შეფასებისადმი, თავს ვერ არომრევენ დავალებებს. ბევრ პარტორგანიზაციაში არ არის შექმნილი ძიების, პრინციპული კრიტიკის, განსაკუთრებით ქვემოდან კრიტიკის ატმოსფერო. ბევრი კომუნისტისათვის საქმოსნების, მფლანგველების, მუქთახორების წინააღმდეგ უკომბისმისო ბრძოლა ჯერ არ გამხდარა აუცილებელი საჭიროება.

სუსტად ვლინდება დატაცების, გაფლანგვების და სოციალისტური საკუთრების უკანონო მითვისების ფაქტები. მოგების მიზნით იყენებენ სატრანსპორტო საშუალებებს, საცხოვრებელ ფართობს, უკანონოდ ეწევიან სამშენებლო სამუშაოებს, რეპეტიტორობას. არ აღმოფხვრილა მექრთამეობა. ასეთი ფაქტი გამოვლინდა, მაგალითად, რესპუბლიკის პუბრპროდუქტების სამინისტროს კომბინირებული საკვების ქარხანაში. ჯერ კიდევ პასიური პოზიცია უკავიათ ამ ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლაში საბჭოთა და ადმინისტრაციულ ორგანოებს, სახალხო კონტროლის ჯგუფებსა და საკუთარ ორგანოებს, რაიონულ გაზეთს. ასეთ ნაკლოვანებათა მიზეზების აღმოფხვრაში ყოველთვის როდი იჩენენ ჯერჯვან სიმტკიცესა და აქტიურობას.

თავის დადგენილებაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ პარტიის ცხაკიას რაიკომის ღონისძიებანი არასაკმარისად ისახავს მიზნად ყოველ სამუშაო კოლექტივში, რაიონულ ორგანოში მუშაობის ყველგანსული მეთოდების სრულ აღმოფხვრას, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში ძიების, პრინციპულობის, მომთხოვნელობის ატმოსფეროს შექმნასა და ამ საქმეში კომუნისტების წვლილის გადიდებას.

პარტიის რაიკომს დაევალა განახორციელოს აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის დამატებითი ღონისძიებანი. პარტიული მუშაობის გარდაქმნის უპირველეს ამოცანად უნდა მივიჩნიოთ 1986 წლის საგეგმო დავალებებისა და სოციალისტური ვალდებულებების უსოფო შესრულება, უზრუნველყოფთ პარტიის რაიკომის, რაიაღმასკომის, სხვა რაიონული ორგანოების განყოფილებათა იმ მუშაობის სათანადო ეფექტიანობა, რომელსაც ეწევიან ძირეული რგოლების დასაზმარებლად, გავზარდოთ ამისათვის ინსტრუქტორთა შემადგენლობის, მუშაობის კონკრეტული უბნების კურატორი მუშა

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი

„უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1986 წლის 23 მაისის ბრძანებულება „უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ა. გრომიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. **1986 წლის 19 ივნისი.**

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი

სსრ კავშირის სახელმწიფო მართვის ზოგიერთი ორგანოს შექმნისა და გარდაქმნის და „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესახებ“ სსრ კავშირის კანონის 25-ე, 26-ე და 27-ე მუხლებში შესაბამისი დამატებებისა და ცვლილებების შეტანის თაობაზე
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი:

1986 წლის 21 მარტისა „სსრ კავშირის გამოთვლითი ტექნიკისა და ინფორმატიკის საერთო-საკავშირო სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ“;

1986 წლის 11 აპრილისა „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ“.

ამის შესაბამისად „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესახებ“ სსრ კავშირის 1978 წლის 5 ივლისის კანონში (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1978 წ., № 28, მუხ. 436; 1981 წ., № 47, მუხ. 1238; 1984 წ., № 1 მუხ. 17; 1985 წ., № 48, მუხ. 938) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებანი და ცვლილებანი:

25-ე მუხლს სიტყვების „სსრ კავშირის ატომურ ენერგეტიკაში სამუშაოთა უსაფრთხო წარმოებისადმი ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტი“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „სსრ კავშირის გამოთვლითი ტექნიკისა და ინფორმატიკის სახელმწიფო კომიტეტი“;

26-ე მუხლს სიტყვების „სსრ კავშირის უცხოეთის ტურიზმის სახელმწიფო კომიტეტი“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტი“;

27-ე მუხლის მეორე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი და სხვები“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ა. გრომიკო

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. **1986 წლის 19 ივნისი.**

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი

სსრ კავშირის ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი:

1985 წლის 26 დეკემბრისა „ძვირფასი ლითონებისა და ქვების ან მათი შემცველი ნაწარმის მიღების, ნარჯვის, აღრიცხვის, შენახვის, აგრეთვე მათი ჯართისა და ნარჩენების შეგროვებისა და სახელმწიფო ფონდში ჩაბარების წესების დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ“;

1986 წლის 21 მარტისა „აგროსამრეწველო კომპლექსის ხელმძღვანელობის დარგში სახალხო დეპუტატთა საბჭოების უფლებამოსილებათა თაობაზე სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტებში ცვლილებათა შეტანის შესახებ“.

1986 წლის 21 აპრილისა „მუშა-მოსამსახურეთა საბინაო პირობების გაუმჯობესების საკითხების გადაწყვეტაში საწარმოებისა და ორგანიზაციების შრომითი კოლექტივების უფლებების გაფართოების შესახებ“;

1986 წლის 7 მაისისა „სსრ კავშირის ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა შეტანის შესახებ“.

1986 წლის 19 მაისისა „სსრ კავშირის შრომის ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“;

1986 წლის 22 მაისისა „სოფლად მუდმივად მცხოვრები და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული პენსიონერების პენსიების ოდენობის შესახებ“;

1986 წლის 23 მაისისა „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 23-ე მუხლის დამატების შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ა. გრომიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. **1986 წლის 19 ივნისი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

ამხ. ი. პ. ბატალინის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნისა და სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან მისი განთავისუფლების შესახებ
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი:

1985 წლის 21 მარტისა „სსრ კავშირის გამოთვლითი ტექნიკისა და ინფორმატიკის საერთო-საკავშირო სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ“;

1986 წლის 11 აპრილისა „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ“.

ამის შესაბამისად „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესახებ“ სსრ კავშირის 1978 წლის 5 ივლისის კანონში (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1978 წ., № 28, მუხ. 436; 1981 წ., № 47, მუხ. 1238; 1984 წ., № 1 მუხ. 17; 1985 წ., № 48, მუხ. 938) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებანი და ცვლილებანი:

25-ე მუხლს სიტყვების „სსრ კავშირის ატომურ ენერგეტიკაში სამუშაოთა უსაფრთხო წარმოებისადმი ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტი“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „სსრ კავშირის გამოთვლითი ტექნიკისა და ინფორმატიკის სახელმწიფო კომიტეტი“;

26-ე მუხლს სიტყვების „სსრ კავშირის უცხოეთის ტურიზმის სახელმწიფო კომიტეტი“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტი“;

27-ე მუხლის მეორე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი და სხვები“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ა. გრომიკო

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. **1986 წლის 19 ივნისი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

ამხ. ბ. ე. დიმშიცის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ“
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1985 წლის 20 დეკემბრის ბრძანებულება პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით ამხ. ბენიამინ ემანუილის ძე **დიმშიცის** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ა. გრომიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. **1986 წლის 19 ივნისი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

ამხ. ი. პ. რიაბოვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

განთავისუფლდეს ამხ. იაკობ პეტრეს ძე **რიაბოვი** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან. სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ა. გრომიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. **1986 წლის 19 ივნისი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის შემადგენლობაში ცვლილებათა შეტანის შესახებ
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი:

1986 წლის 20 იანვრისა —

პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით ამხ. ალექსი ვასილის ძე **ვიქტოროვის** სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ და

ამხ. ლეონიდ დავითის ძე **კაზაკოვის** — საკავშირო პროფსაბჭოს მდივნის სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის წევრად დამტკიცების შესახებ;

1986 წლის 10 აპრილისა —

პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით ამხ. ვასილ სტეფანეს ძე **კუცევოლის** სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ და

ამხ. ალბერტ ვასილის ძე **მერზლენკოს** — უკრაინის სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის წევრად დამტკიცების შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ა. გრომიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. **1986 წლის 19 ივნისი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

ამხ. ვ. კ. გუსევის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ვლადიმერ კუზმას ძე **გუსევი** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ა. გრომიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. **1986 წლის 19 ივნისი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

ამხ. გ. გ. ვედერნიკოვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. გენადი გიორგის ძე **ვედერნიკოვი** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ა. გრომიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. **1986 წლის 19 ივნისი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს წევრთა არჩევის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1986 წლის 1 აპრილის ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს წევრებად:

ვიქტორ ბორისის ძე **ბელიავსკის,**

ოლეგ მიხეილის ძე **დანილოვის,**

სერგი ფენოგენის ძე **სავკინის** არჩევის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ა. გრომიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. **1986 წლის 19 ივნისი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში შემავალ ცალკეულ პირთა თანამდებობიდან განთავისუფლებისა და დანიშვნის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1985 წლის 29 ნოემბრისა — სსრ კავშირის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. ევგენი ივანეს ძე **სიზენკოს** სსრ კავშირის მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1985 წლის 29 ნოემბრისა — ამხ. ვალერი ალექსის ძე **ბიკოვის** სსრ კავშირის სამედიცინო და მიკრობიოლოგიური მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1985 წლის 2 დეკემბრისა — ჯანმრთელობის გამო პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით ამხ. ლევ მორდკის ძე **ვოლოდარსკის** სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ;

1985 წლის 2 დეკემბრისა — ამხ. მიხეილ ანტონის ძე **კოროლიოვის** სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსად დანიშვნის შესახებ;

1985 წლის 3 დეკემბრისა — ამხ. გრიგოლ სერგის ძე **ზოლოტუხინის** სსრ კავშირის პუროროდუქტების მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1985 წლის 4 დეკემბრისა — ზოგად საკითხებში სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. ანატოლი ანტონის ძე **რეუტის** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შეყვანის შესახებ;

1985 წლის 5 დეკემბრისა — ანგარებითი მიზნებით სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის სსრ კავშირის ნავთობ-პროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან ტალგატ ზაქირის ძე **ხურამშინის** განთავისუფლების შესახებ;

1985 წლის 13 დეკემბრისა — ამხ. ბორის ივანეს ძე **გოსტევის** სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1985 წლის 13 დეკემბრისა — ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით ამხ. ბორის თევდორეს ძე **ბრატჩენკოს** სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ;

1985 წლის 13 დეკემბრისა — ამხ. მიხეილ ივანეს ძე **შჩადოვის** სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1985 წლის 16 დეკემბრისა — სსრ კავშირის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომპლექსის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. ალექსანდრე ივანეს ძე **ივლევის** სსრ კავშირის მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1985 წლის 16 დეკემბრისა — პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით ამხ. სერგი გიორგის ძე **ლაპინის** სსრ კავშირის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ;

1985 წლის 16 დეკემბრისა — ამხ. ალექსანდრე ნიკიფორეს ძე **აქსონოვის** სსრ კავშირის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ;

1986 წლის 10 იანვრისა — პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით ამხ. ვლადიმერ სერგის ძე **ალხიმოვის** სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ;

1986 წლის 10 იანვრისა — ამხ. ვიქტორ ვლადიმერის ძე **დემენცევის** სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ;

1986 წლის 10 იანვრისა — ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით ამხ. კონსტანტინე ივანეს ძე **ბრეხოვის** სსრ კავშირის ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ;

1986 წლის 10 იანვრისა — ამხ. ვლადიმერ მათეს ძე **ლუკიანენკოს** სსრ კავშირის ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1986 წლის 10 იანვრისა — ამხ. ივანე ივანეს ძე **გლადკის** სსრ კავშირის შრომისა და სოციალური საკითხების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ;

1986 წლის 13 იანვრისა — პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით ამხ. ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე **პეტროვიჩევის** სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ;

1986 წლის 13 იანვრისა — ამხ. ანატოლი პანტელეის ძე **დუმაჩოვის** სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

1986 წლის 14 იანვრისა — პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით ამხ. კონსტანტინე ნიკიტას ძე **ბელიაკის** სსრ კავშირის მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მანქანათმშენებლობის მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ;

1986 წლის 14 იანვრისა — ამხ. ლეონიდ ივანეს ძე **ხიტრუნის** სსრ კავშირის მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მანქანათმშენებლობის მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1986 წლის 24 იანვრისა — პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით ამხ. გიორგი არკადის ძე **კარავაევის** სსრ კავშირის მშენებლობის მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ;

1986 წლის 24 იანვრისა — ამხ. ვლადიმერ ივანეს ძე **რეშეტნიკოვის** სსრ კავშირის მშენებლობის მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1986 წლის 24 იანვრისა — სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით ამხ. ვიტალი ვასილის ძე **ფედორჩუკის** სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ;

1986 წლის 24 იანვრისა — ამხ. ალექსანდრე ვლადიმერის ძე **ვლასოვის** სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1986 წლის 30 იანვრისა — პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით ამხ. ნიკოლოზ ვასილის ძე **გოლდინის** სსრ კავშირის მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ;

1986 წლის 30 იანვრისა — ამხ. სერგი ვასილის ძე **ბაშილოვის** სსრ კავშირის მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის მინისტრად დანიშვნისა და სსრ კავშირის მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან მისი განთავისუფლების შესახებ;

1986 წლის 24 თებერვლისა — სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით ამხ. ბორის ნიკოლოზის ძე **პასტუხოვის** სსრ კავშირის გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ;

1986 წლის 24 თებერვლისა — ამხ. მიხეილ თევდორეს ძე **ნენაშევის** სსრ კავშირის გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ;

1986 წლის 7 აპრილისა — ამხ. ნიკოლოზ ვასილის ძე **გორშკოვის** სსრ კავშირის გამოთვლითი ტექნიკისა და ინფორმატიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ;

1986 წლის 10 აპრილისა — პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით ამხ. ალექსანდრე ვლასის ძე **კოვალენკოს** სსრ კავშირის მატერიალური რეზერვების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ;

1986 წლის 11 აპრილისა — ამხ. მარატ ვლადიმერის ძე **გრამოვის** სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ:

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ა. გრომიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. **1986 წლის 19 ივნისი.**

ქართველი ავიატორების წარმატება

მსურველად გამოეცხადებინენ საქართველოს ავიაციისრის სეკა ცენტრალური კომიტეტის მიმართვას საბჭოთა მშრომელებისადმი.

დამკვრელურად შრომობენ ხელოვნელდის სახელობის ფაბრიკა (საქართველოს საშოქალაქო ავიაციის) სამართველოს მეშვაკები. სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით წლის განვლილ პერიოდში მათ გაამარჯვეს სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს სისტემაში: გადაყვანილია 319 ათასი მგზავრი, რაც 9.300-ით აღემატება გეგმით გათვალისწინებულს, 85 ტონით გაიზარდა საფოსტო გზავნილება, სახალხო-სამეურნეო ტვირთის გადაზიდვამ საგეგმო მაჩვენებელს 144 ტონით გადააჭარბა, დაზოგილია 125 ტონა სათბობი.

გამარჯვებულთა შორისაა გადაზიდვის სამსახური (უფროსი ნ. ჯამბაზიშვილი), საავიაციო-ტექნიკური ბაზის სამსახური, რომელსაც მ. ვოინოვი ხელმძღვანელობს, ტ-134, ტუ-154, იაკ-40 ლაინერების ეკიპაჟები (მეთაურები შ. წიკლაური, ა. ბაკურაძე, ს. ჩუფირი).



სურათებზე: გულისხმიერად ემსახურება საერთაშორისო რეისების მგზავრებს ბორტგამცილებელი მარინე კურტანიძე; ტუ-154 თვითმფრინავის მოწინავე ეკიპაჟი (მარცხნიდან): ს. ტეფნაძე (ბორტინჟინერი), ა. ბაკურაძე (ხომალდის მეთაური), ვ. კლეშჩევი (შტურმანი) და დ. ოქროცვარიძე (მეორე პილოტი).

ა. რუხაძის ფოტო
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ამინდი და მოსავალი

ზარალის შესამცირებლად

ლანჩხუთი. რაიონის მხვნელ-მთესველებს უხვი მოსავლის მოყვანის კარგი გამოცდილება აქვთ, ყოველწლიურად ზრდიან მოსავლიანობას. წელსაც აგროტექნიკურ ვადებში დაამთავრეს თესვა. მაისის პირველ დღეებში დათესილი ჰქონდათ 4.040 ჰექტარი სამარცვლე სიმინდი, 1.200 ჰექტარზე მეტი სასილოსე კულტურები. მაგრამ ავდარმა მნიშვნელოვანწილად დააზიანა და გაანადგურა საუკეთესოდ აღმოცენებული ყანები. პალიასტომის ტბისა და მდინარე ფიჩორას სანაპიროზეზე 1.148 ჰექტარი უხვმოსავლიანი ფართობი მთლიანად დაიღუპა. მათ შორის უმეტესობა სამარცვლე და სასილოსე სიმინდი იყო, 200 ჰექტარზე მეტი სოიის ნათესი, 240 ჰექტარი ბოსტნეული იყო. პარტიის რაიკომთან შექმნილი სტიქიასთან მებრძოლი შტაბი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა რაიკომის პირველი მდივანი ე. ბერიძე, საზოგადოებრივ მეურნეობებში ქმედით ღონისძიებებს აზორკიელებს სტიქიით გამოწვეული ზარალის შესამცირებლად. სოფელ მამათის კოლმეურნეობაში ხელმეორედ დათესა 100 ჰექტარი სამარცვლე და 16 ჰექტარი სასილოსე სიმინდი, შუხუთის კოლმეურნეობაში — 110 ჰექტარი, ჩოჩხათის კოლმეურნეობაში — 148 ჰექტარი, ჯულუყვათის კოლმეურნეობაში — 135 ჰექტარი სამარცვლე და 25 ჰექტარი სასილოსე სიმინდი. არ შეიძლება არ აღინიშნოს რაიონში სანაქებო მექანიზატორების — ნიგოეთელი ბ. ნარსიას, ნიგვზიანელი გ. ბარამიძის, აკეთელების ნოდარ და რევაზ ღლონტების ენერგიული შრომა.

რაიონში ძირითადად დამთავრებულია დაზიანებული ნათესების აღდგენა.

ბ. ჩხაიძე,
„კომუნისტის“ საკრ. კორ.

წალენჯიხელების გარჯა

წალენჯიხა. კოკისპირულმა წვიმებმა და უჩვეულო აცივებამ არახელსაყრელი პირობები შექმნა ერთწლოვანი მარცვლეული კულტურების აღმოცენებისათვის. ხელახლა დაითესა მარცვლეულის ფართობები 334 ჰექტარზე. ამჟამად ჩქარი ტემპით მიმდინარეობს სამარცვლე და სასილოსე სიმინდის ნათესების პირველი თოხნა და ორგანული სასუქების შეტანა. ამ საქმეში დაწინაურდნენ ობუჯის, ფიზულანის, ჯგალის რუსთაველისა და ნაკიფუს სტალინის სახელობის კოლმეურნეობები. აქ ყველა პირობას ქმნიან ერთწლოვანი მარცვლეული კულტურების მიმდინარე წლის უხვი მოსავლის მისაღებად.

საკვები ბაზის განმტკიცებისათვის ზრუნვის გაძლიერებამ წალენჯიხელებს შესაძლებლობა მისცა ივნისის პირველ დეკადაში შეესრულებინთ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის ნახევარი წლის დავალება.

სოფლის მშრომელები არც ბოსტნეულს ივიწყებენ და მას განსაკუთრებული მზრუნველობით ეკიდებიან. ხახვისა და კიტრის პირველი მოსავალი უკვე მიიღეს სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ობიექტებმა. ზაფხულის მომდევნო თვეებში ბოსტნეულის ახალი პარტია რეგულარულად მოდის რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობებიდან. ამით კიდევ უფრო მრავალდარგოვანი გახდება წალენჯიხის რაიონის სოფლის მეურნეობა. ბოსტნეული კულტურების განვითარებას მტკიცედ მოჰკიდეს ხელი „თბილისის“, ნაკიფუს შეროზიას და მიქავას უ. მრეკავას სახელობის კოლმეურნეობებში.

ვ. ჩაჩიბაია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

შეჯიბრება და შრომის დისციპლინა განუყოფელია: დაე, თითოეული მისი მონაწილე გახდეს შრომისმოყვარეობის, მაღალი ზნეობისა და ორგანიზებულობის მაგალითი!

(სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან საბჭოთა კავშირის მშრომელებისადმი).

ყველაფერი დისციპლინით იწყება

პარტიის მიერ დასახული გრანდიოზული ამოცანების განხორციელება, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება, რომლის მატერიალური საფუძველია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, მოითხოვს უდიდეს ძალისხმევას, ყველა რეზერვის ამოქმედებას და, უწინარეს ყოვლისა, ადამიანის ფაქტორის გააქტიურებას. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ თითოეული თავის ადგილზე მუშაობდეს კეთილსინდისიერად და სრული უკუგებით. სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ამ მოთხოვნების უთუოდ შესრულების აუცილებლობას განსაკუთრებით გაესვა ხაზი ამხ. მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში საბჭოთა კავშირის მშრომელებისადმი.

თანამედროვე ეტაპზე, როდესაც შეზღუდულია წარმოების განვითარების ეგრეთ წოდებული ექსტენსიური ფაქტორები, როცა ქვეყნის სახალხო მეურნეობა შრომითი რესურსების დეფიციტს განიცდის, სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება ერთობლივი სამუშაო ძალის გონივრულ, რაციონალურ გამოყენებას.

პრაქტიკამ ცხადყო, რომ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გადიდების, სამუშაო ძალის ეფექტიანი გამოყენების უმნიშვნელოვანესი რეზერვია შრომის დისციპლინის განმტკიცება, თანაც იგი არ მოითხოვს არავითარ მატერიალურ დანახარჯებს, შედეგს კი უდიდესს იძლევა.

ვ. ი. ლენინი შრომის დისციპლინას მიიჩნევდა ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობათა გამარჯვების უმნიშვნელოვანეს პირობად. შრომის დისციპლინის განმტკიცება, გვასწავლის ვ. ი. ლენინი, ისტორიული ჯაჭვის ის რგოლია, რომელსაც მთელი ძალ-ღონით უნდა ჩავჭიდოთ ხელი, რათა წარმატებით შესრულდეს დასახული ამოცანები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის და მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლის შედეგად როგორც მთლიანად კავშირში, ისე საქართველოში, მნიშვნელოვნად შემცირდა კადრების დენადობა, განმტკიცდა შრომის დისციპლინა. ასე, მაგალითად, 1984 წელს ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობაში მუშათა კადრების დენადობა წინა წლებთან შედარებით შემცირდა.

რესპუბლიკის მრეწველობაში 1984 წელს 1982 წელთან შედარებით კადრების დენადობის შემც

ისტორია
ფაქტები • მოვლენები
ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორიის გაკვეთილები

45 წლის წინათ ფაშისტური ურდოების მუხანათურმა თავდასხმამ მკვეთრად შეცვალა საბჭოეთის ცხოვრება. 1941 წლის 22 ივნისს დაიწყო დიდი სამამულო ომი, რომელმაც ჩვენს ქვეყანას აურაცხელი უბედურება და ნგრევა მოუტანა, იმსხვერპლა 20 მილიონი საბჭოთა ადამიანი. მონოლითურ კედლად აღიმართა საბჭოთა ხალხი აგრესორის წინააღმდეგ წმიდათაწმიდა ბრძოლისათვის, მისმა ინტერნაციონალურმა გმირობამ იხსნა კაცობრიობა ჰიტლერული დამონებისაგან. ეს აღინიშნა საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის 19 ივნისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში გამართულ პრესკონფერენციაზე. იგი მოეწყო დიდი სამამულო ომის დაწყების 45 წლისთავთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ისტორიის ინსტიტუტის უფროსის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, გენერალ-ლეიტენანტ პ. ა. ჟილინის შესავალ სიტყვაში, პრესკონფერენციის სხვა მონაწილეთა გამოსვლებში აღინიშნა, რომ გერმანიის ფაშიზმს — საერთაშორისო იმპერიალიზმის დამკვრელ ძალას, რომელიც თავს დაესხა სსრ კავშირს, მიზნად ჰქონდა დასახული მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს განადგურება. ეს იყო საბჭოთა ხალხის სამართლიანი, განმათავისუფლებელი ომი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ჰიტლერული გერმანიისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ. დიდი სამამულო ომი მეორე მსოფლიო ომის უმნიშვნელოვანესი და გადამწყვეტი ნაწილი გახდა.

ჩასაფუძვლად არის განწირული ისტორიის ფალსიფიკატორთა ცდები დაამახინჯონ ყველაზე სისხლისმღვრელი ომის მიზეზები და შედეგები. კაცობრიობამ იცის ნამდვილი აგრესორები და მათი მფარველები, ღირსეულად აფასებს საბჭოთა კავშირის გადამწყვეტ როლს ფაშისტური გერმანიისა და მილიტარისტული იაპონიის განადგურებაში. უსაფუძვლოა ჩვენი იდეოლოგიური მოწინააღმდეგეების მონაპირონეები „საბჭოთა სამხედრო საფრთხის“ შესახებ, რომლის მიზანია გაამართლოს საკუთარი მილიტარისტული მზადება და რევანშისტული მისწრაფებანი.

1418 დღე აშორებდა 1941 წლის 22 ივნისს გამარჯვებას, რომელიც საბჭოთა ხალხს ძვირად დაუჯდა. ამ გამარჯვებას მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა, მან გამოიწვია რევოლუციური მოძრაობის ძლავრი აღმავლობა, შექმნა სასიკეთო შესაძლებლობანი სოციალიზმის მსოფლიო სისტემის წარმოშობისათვის. ფაშისტური გერმანიის სამხედრო მანქანის განადგურება განსაზღვრა სოციალისტური წყობილების ძირეულმა უპირატესობებმა, კომუნისტური პარტიის ბრძნულმა ხელმძღვანელობამ, რომელმაც ქვეყანა ერთიან საბრძოლო ბანაკად შეაკავშირა და საბჭოთა ხალხი გამარჯვებამდე მიიყვანა.

დიდი სამამულო ომის მთავარი გაკვეთილი ის არის, რომ დროულად და მტკიცედ უნდა აღკვეთოთ ყოველგვარი აგრესიული პრეტენზიები, ვიბრძოლოთ ომის წინააღმდეგ მანამ, სანამ იგი არ დაწყებულა. ეს განსაკუთრებით აქტუალურია ახლა, როცა საერთაშორისო იმპერიალიზმი ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით თავის საგარეო პოლიტიკას აგებს სამხედრო ძალის იმედით, ცდილობს მიაღწიოს უპირატესობას სოციალისტურ ქვეყნებთან შედარებით. სსრ კავშირი და მისი მოკავშირეები ამას უპირობპირებენ თავიანთ თანამიმდევრულ საგარეო-პოლიტიკურ კურსს, კონსტრუქციულ სამშვიდობო ინიციატივებს, რომელთა მიზანია ბირთვული იარაღის მთლიანი და საყოველთაო ლიკვიდაცია, საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემის შექმნა. ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა ძმური არმიები საიმედოდ დგანან სოციალიზმის მონაპოვართა, ევროპისა და მთელი კაცობრიობის მშვიდობიანი მომავლის სადარაჯოზე.

(საკდესი).

დიდი სამამულო ომის დაწყების 45 წლისთავის გამო

დაკარგული შენი შვილი მოვედი...

იგი ოცდათოთხმეტი წლისა იყო, როცა დაიწყო დიდი სამამულო ომი. ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, ერუდირებული, განსწავლული ახალგაზრდა, სტუდენტების საყვარელი აღმზრდელი, დიდი მოქალაქის მკონე მეცნიერი 1941 წლის პირველ ივლისს წოვილი არმიის მებრძოლთა რიგებში ჩადგა.

თვალწინ მიდგას მხედრული წრთობის პირველი დღეები, ახალწვეულ თანამემამულეთა საბრძოლო მწყობრში სამხედრო-პარტიული კურსების მსმენელთა შორის სმაღლისდამიხედვით პირველი, სავლე წერეთელი მიაბიჯებდა გოლიათური ნაბიჯებით.

სავლე წერეთლის დიდი სამამულო ომის ოთხი წლის საბრძოლო ბიოგრაფიაში მრავალი საინტერესო მხედრული ეპიზოდია. ისინი თვალნათლივ წარმოგვიდგენენ ჭეშმარიტ-მოქალაქეს. ნებისმიერ სიტუაციაში, მძიმე წუთებში იგი რჩება ამაღლებული მიზნისა და უმეცარ საქმის კაცად, ბამულშვილად, მებრძოლთა გულითად მეგობრად და დამრიგებლად, იზიარებს მათს მძიმე ფრონტულ ჭირსა და ლხინს, პირნათლად იხდის მებრძოლი კომუნისტის მხედრულ ვალს.

ამის ნათელი, დამაჯერებელი დადასტურებაა სავლე წერეთლის ერთგული თანამოკელების მოგონებები, თავად მისი მოკლე, მაგრამ სინტეტერესო, შინაარსიანი ჩანაწერები „დიდი სამამულო ომის ფრონტებზე“.

1942 წლის 25 აგვისტოს, — იხსენებდა სავლე წერეთელი, — ბატალიონს, რომელშიც მე ვიმყოფებოდი, მოუვდა ბრძანება წასულიყო სანჭაროს ულელტეხილზე. რომელზედაც გერმანელები გადმოსულიყვნენ. ბატალიონი დაიძრა სანჭაროსაკენ. წინ მოგვიძღოდა ადგილების კარგი მცოდნე, ორი აფხაზი მონადირე. მიეუახლოვდით სოფელ ფსხუს, წინ შემოგვხვდა აფხაზი მწყემსი, რომელმაც შეგვატყობინა, რომ ფსხუ დაკავებულია გერმანელების მიერ, რომელთა მთავარი ნაწილი წასულია სოხუმისაკენ.

სოფლის გასათავისუფლებლად ბრძოლაში უნდა ჩაებმულიყავით. შევედით სოფელში, გერმანელები არსად ჩანდნენ. გაგვიკვირდა დაზვერვაზე ერთი ასეული, მან მთელი სოფელი ისე გაიარა, რომ არავინ შეხვედრია, მაგრამ როცა სოფელს გასცდნენ გერმანელებმა, რომლებიც განაპირა სახლების სახურავებზე იყვნენ ჩასაფრებულები, სროლა ატეხეს. ამოქმედდა მთელი ჩვენი ბატალიონი. ცხარე ბრძოლების შემდეგ ავიღეთ სოფელი ფსხუ. ამით შევაჩერეთ გერმანელების მოძრაობა სოხუმისაკენ, მაგრამ მოვეკვეცოთ მტრის ორმხრივი დარტყმის ქვეშ. მოგვეშველა დივიზია სოხუმიდან. ამასობაში კავკასიონზე მოვიდა თოვლი, რომელმაც გერმანელების მაშველ ძალებს გზა გადაუკეტა. შევძელით გაგვნადგურებინა გერმანელი დამპყრობლები აფხაზეთში.

...1942 წლის შემოდგომაზე ბრძოლაგადახდილი 276-ე დივიზია ხელახლა დაკომპლექტდა საქართველოში. მის პირად შემადგენლობაში ძირითადად ქართველები იყვნენ, მათ შორის 1500 კომუნისტი და 3500 კომკავშირელი.

სათანადო საბრძოლო-პოლიტიკური მომზადების შემდეგ 276-ე დივიზია ფრონტზე გაიგზავნა და ორკონიკიძის მისადგომებთან ბრძოლებში თავი ისახელა. შემდგომ ბრძოლებით განვლო ცხრაასი კილომეტრი ქერჩის სრუტემდე, მეომრული დიდებით შემოსა თავისი საბრძოლო დროშა. სახელოვან თანამემამულეთა საბრძოლო რიგებში დიდხანს იბრძოდა სავლე წერეთელი. აქ დაამსახურა მან პირველი საბრძოლო ორდენი.

ხანგრძლივი, მძიმე ბრძოლები გადახდა 276-ე ქართულ დივიზიას ჩრდილო კავკასიის ფრონტზე, კერძოდ, ყუბანში, 1943 წლის ზაფხულში, ქალაქ ტემრუკისათვის ბრძოლებში.

გაფთრებული იცავდა მოწინააღმდეგე ტემრუკის მისადგომებს, კერძოდ, სოფელ სვისტელნიკოვოს, თავდაცვის სიმაგრედ გადაქცია იგი. თხუთმეტ დღეს გრძელდებოდა აქ ორთა მკაცრი, სისხლისმღვრელი შეტაკებანი.

აქ გადახდილი ბრძოლების ამბებს ომისშემდგომ ასე იხსენებდა თადარიგის მაიორი, პროფესორი სავლე წერეთელი:

„...მტერმა სასტიკი წინააღმდეგობა გაგვიწია ყუბანში, სოფელ სვისტელნიკოვოსთან (ეიმყოფებოდი 276-ე დივიზიაში). მახსოვს, თუ როგორ დაგვდევდა სამი გერმანული თვითმფრინავი ორ კაცს (მე და კაპიტან ალექსანდრე ბუაძეს) ერთი საათის განმავლობაში, გვიშენდა ტყვიას. ტყვიამფრქვევებიდან, მაგრამ გადავრჩით იმით, რომ თავს ვაფარებდით ტბებსა და ჭაობებს. იყო ასეთი შემთხვევაც: თორმეტ მებრძოლს თავს დაგტრიალებდა მტრის თვითმფრინავი, რომელიც ეშვებოდა დედამიწამდე 10-15 მეტრამდე და გვიშენდა ტყვიებს, ჩვენ სანგრებიდან ვესროდით, ავადფიქეთ ერთი თვითმფრინავი, რომელიც იქვე ჩამოვარდა. მტრის ერთ-ერთი შემოტეკვის დროს გადავწვით სამი ტანკი, დანარჩენები უკუვაქციეთ. ამით გადავარჩინეთ ჩვენ უკან მდებარე დივიზიის საკომანდო პუნქტი. ერთ-ერთი ცხარე ბრძოლის დროს, როცა თვალები სავსე მქონდა აფეთქებული ყუმბარების ბოლით და ჩემი ხმის გაგონებაც არ შემეძლო, უცბად შემომეფეთა ახალგაზრდა (შემდგომში პროფესორი), რომელიც ფრონტის შტაბიდან იყო მოვლინებული. ჩვენს სიხარულს არ ჰქონდა საზღვარი, ორივემ შეწყობილად ვიმოქმედეთ და გამარჯვებული დავრჩით...“

ეს ამბები თავისებურად აღიქვა და დაამახსოვრდა თადარიგის მაიორს, პროფესორ მიხეილ კვესელავასაც:

„ერგონი ადვილად იქმნება ფრონტზე. მახსოვს, ყუბანში სოფელ სვისტელნიკოვოში მძიმე ბრძოლებს რაღაც სასწაულით გადარჩენილ პროფესორ სავლე წერეთელს შევხვდი. გაგვეხარდა ერთმანეთის ნახვა, მაგრამ მაშინვე ისეთ ქარცეცხლში გავეხვიეთ, რომ ძლივს გადავრჩით, მერე სულ ასე ვესალმებოდით ერთმანეთს:

დაკარგული შენი შვილი მოვედი...

— სვისტელნიკოვოს გაუმარჯოს!

276-ე დივიზიამ, ჩრდილო კავკასიის ფრონტის საბრძოლო რიგებში, ბოლომდე სდია მტერს. მონაწილეობდა ქალაქ ტემრუკის განთავისუფლებაში. ამ ბრძოლებში განსაკუთრებული დამსახურებისათვის „ტემრუკის“ სახელი მიენიჭა შენაერთს. მან გაწმინდა აზოვის სანაპიროები, ყუბანი და ქერჩის სრუტემდე მისდია მტერს.

— ეს იყო 1944 წლის გაზაფხულზე. „სივაშის“ გადალახვის დროს, — გვამცნობს სავლე წერეთლის მოგონებანი ფურცლები, — მქონდა ასეთი შემთხვევა (მაშინ ვიმყოფებოდი 63-ე საინჟინრო-მესანგრეთა ბრიგადაში) სივაშის მეორე ნაპირზე დავიკავეთ რამდენიმე ასეული კვადრატული მეტრი. მტერი მაღლობიდან გვიშენდა ცეცხლს. ამოვარდა აღმოსავლეთის ძლიერი ქარი. ამ დროს გამომიძახეს ბრიგადის შტაბში. საჭირო იყო სივაშის გადალახვა ნავით. გამომყვა მებრძოლი, რომელსაც ნავი მოჰყავდა, მაგრამ გაძნელდა აღელვებული ტალღების დაძლევა. ჩვენი ნავი ქარს მიჰქონდა კუნძულისაკენ, რომელზედაც გერმანელები ისხდნენ და ნაღმებს გვიშენდნენ. სხვა გზა არ იყო: ნავი უნდა მიგვეტოვებინა და ცურვით ნაპირზე გამოესულიყავით, მაგრამ, საუბედუროდ, ცურვა არ ვიცოდი. ნავიდან ჯერ ჩემი მებრძოლი გადახტა და ბაცურა ნაპირისაკენ, შემდეგ მეც გადავეშვი წყალში, სადაც ბაზრობა მელოდა, მაგრამ ჩემმა სიმაღლემ მიშველა, ფეხის წვერი ქვას მოხვდა და უხეირო მოძრაობით მოვახერხე ნაპირზე გასვლა. სველი ტანსაცმელი ტანზე შემომეყინა, მარვალი მუხლებზე გადამიტყდა, სამი კილომეტრი შეუჩერებლივ ვირბინე და მივაღწიე შტაბამდე. მცირე შესვენების შემდეგ ახალი დავალებით, მაგრამ კარგი ნავით, ისევ გადავლახეთ სივაში.

დიახ, ხელახლა გადალახა პოლიტმუშაკმა სივაში და წარმატებითაც შეასრულა სარდლობის ახალი, რთული საბრძოლო დავალება, რის შედეგადაც ნაწილმა და ქვეგანაყოფებმა დროულად განახორციელეს შემდგომი ამოცანა.

შენაერთის პოლიტგანყოფილების მუშაკს, მაიორ სავლე წერეთელს ჰქონდა საბრძოლო ვითარების საღი შეფასების, მიზანშეწონილი გადაწყვეტილების მიღების უნარი, რასაც სასურველი შედეგი მოჰქონდა. მრავალთა შორის კიდევ ერთი მხედრული ეპიზოდი ადასტურებს ამას.

— ეს იყო 1944 წლის ივლისში, ქალაქ კაუნასის განთავისუფლების დროს, — ვკითხულობთ სავლე წერეთლის ჩანაწერებში, — ჩვენი ბრიგადა შევიდა ბელორუსიის მე-3 ფრონტის შემადგენლობაში. ჩვენს შენაერთს დაევალა ხიდი (პონტონებით) აეგო მდინარე ნემანზე. მისი აგება უნდა დამთავრებულიყო დაღამებამდე. ამ ბრძანების შესასრულებლად გაგზავნეს ერთი ასეული, მაგრამ გერმანელების ცეცხლმა ეს ასეული გაანადგურა. ასევე გამეორდა მეორე დღესაც. მესამე დღეს გაიგზავნა ახალი ასეული, რომლის მეთაურის მოადგილედ პოლიტნაწილში მე დამნიშნეს. ასეულის მეთაური ხიდის აგებას იწყებდა 5 საათზე. მე ამის წინაღმდეგ წავედი, მეთაურიც დათანხმდა. ვესაუბრე მებრძოლებს, ხიდის მშენებლობა დავიწყეთ ღამით. მებრძოლები ვეფხვებივით დატრიალდნენ, გათენებამდე ხიდი მზად იყო. მოვასწარით 150 ტანკის გაშვება. ამით დიდად დაეხმარეთ ქალაქ კაუნასის განთავისუფლების საქმეს...

1945 წლის აპრილი. ომი დასასრულს უახლოვდებოდა. ბრძოლები მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა. მტერი გაშმაგებით იცავდა მილიტარიზმის ციტადელს, აღმოსავლეთ პრუსიას, ქალაქ კენიგსბერგს, თუმცა მისი ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო.

— კენიგსბერგის აღების დროს, — იგონებდა სავლე წერეთელი, — მოვხვედი მტრის საშინელ ცეცხლში. ბომბების აფეთქებების შედეგად რამდენჯერმე დავმარხე მიწაში, მაგრამ უვნებელი გადავრჩი. ამხანაგები მეხუმრებოდნენ: შენ, როგორც ფილოსოფოსი, გადაგარჩინა ალბათ ფილოსოფოს კანტის (კენიგსბერგი კანტის სამშობლოა) სულმაო.

დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ მაიორი სავლე წერეთელი ერთხანს სამხედრო-საარტილერიო სასწავლებლის ლექტორი იყო. ახალი, მდიდარი ნაბრძოლო გამოცდილების გათვალისწინებით, ზრდიდა და აწრთობდა იგი მომავალ არტილერისტ-ოფიცრებს.

1946 წლის თებერვალში, დემობილიზაციით, საბრძოლო ჯილდოებით მკერდდამშვენებული სავლე წერეთელი მშვიდობით ბრუნდებოდა დედაქალაქ მოსკოვში.

ბედნიერმა შემთხვევამ შინდაბრუნების გზაზე კვლავ ერთმანეთს შეახვედრა ომგადახდილი ორი მეგობარი — სავლე წერეთელი და მიხეილ კვესელავა.

ახდა ერთგულ მეგობართა ოცნება და იმედი...

„... როგორც იქნა, — წერდა მიხეილ კვესელავა, — პირი თბილისისაკენ ვიბრუნე. მეორე დღესვე თვითმფრინავით ჩამოვედი მოსკოვში და აეროდრომიდან პირდაპირ სადგურისაკენ გავწიე მატარებლის ბილეთის ასაღებად. სალაროსთან უზარმაზარი რიგი იდგა. ჯიხურს ურიგოდაც ბევრი აწყდებოდა და იყო ერთი აყალმაყალი. საქმე უხუგშოდ მეჩვენა, მაგრამ გავიხედე და დავინახე, რომ სავლე წერეთელი წესრიგს იცავდა სალაროსთან. ახლოს მივედი და შევძახე.

— სვისტელნიკოვოს გაუმარჯოს!

— გაუმარჯოს! — მომაძახა გახარებულმა და ერთმანეთს გადავეხვიეთ. მე გერმანიიდან მოვდიოდი, ის — იაპონიიდან და ასე შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს. იგი თავის თავგადასავალს მიამბობდა მატარებელში, მე კი ჩემსას. ფიქრი და გონება ორივეს წინ გაგვირბოდა. საქართველო. თბილისი. შინაურები. დილით რომ გავიღვიძეთ, საქართველოს სიომ დაგვიბერა. ორივენი ფანჯრას მივვარდით და ცქერად ვიქეცით. ერთმანეთს ეხაცელებოდნენ მინდვრები და მთები. ჯერ შავნაბადა გამოჩნდა, მერე კი ფუნიკულიორის პლატო.

— გამარჯობა, ჩემო თბილისქალაქო! — უნებურად აღმომხდა მე.

სავლემ დინჯად გაიღიმა და დაამთავრა:

დაკარგული შენი შვილი მოვედი...

თბილისის სადგურზე მე და სავლე ისე უცაბ დავშორდით ერთმანეთს, თითქოს გზაში შემთხვევით გაცნობილი მგზავრები ვყოფილიყავით. აბა რა იქნებოდა როცა შინდაბრუნება ორივეს გულს ტკბილად გვიდგერებდა“.

ვეტერანები მალე დაუბრუნდნენ თავიანთ მონატრებულ შემოქმედებითს ცხოვრებას, ორაერთი შესანიშნავი ნაშრომი, წიგნი შესძინეს ჩვენს სამამულო მეცნიერებასა და ლიტერატურას.

პეტრე შამათავა.

გაბედული და რეალური გეგმები

ჩეხოსლოვაკია

პრაღა. საბჭოთა კავშირი ახორციელებს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების გაბედულ და ამავე დროს რეალურ გეგმებს, წერს **„რუდე პრავო“**. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა სსრ კავშირის კომუნისტების, ყველა მშრომელის მუმაობის ცენტრალურ ამოცანად დასახა სკკპ XXVII ყრილობის გენერალური კურსის განხორციელება, საბჭოეთის მთელი მძლავრი პოტენციალის ამოქმედება. მთავარი, რასაც პარტია უსახავს დღეს საბჭოთა ხალხს ის არის, რომ ჩანაფიქრის ენერგია გადაიქცეს მოქმედების ენერგიად ყრილობის გადაწყვეტილებათა სრული და უტუო განხორციელებისათვის. მეთორმეტე ხუთწლედი სტარტს აძლევს პარტიის გრძელვადიან სტრატეგიას. საბჭოთა კავშირი, სხვა სოციალისტური ქვეყნები ყოველ ღონეს ხმარობდნენ და კვლავაც არაფერს დაიშურებენ მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, ურთიერთმისაღებ მორიგებათა საფუძველზე საერთაშორისო პრობლემების გადაჭრისათვის.

უნგრეთი

ბუდაპეშტი. აღნიშნავს რა სსრ კავშირის თანამიმდევრულ გეზს, რომლის მიზანია მომეგე სოციალისტურ ქვეყნებთან მეგობრობისა და თანამშრომლობის ყოველმხრივი განმტკიცება, **„ნეპსაბადშაგი“** წერს: როგორც ეს დადასტურდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე, საბჭოთა კავშირის საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის ღერძი კვლავაც იქნება ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ-ქვეყნებთან თანამშრომლობა. სოციალისტური თანამეგობრობის ყველა სახელმწიფოს ძალისხმევის გაერთიანება, ყოველმხრივი ინტენსიფიკაციის გზაზე მათი ეკონომიკის გადაყვანა წარმატების საიმედო გარანტია, მნიშვნელოვანი წვლილი მშვიდობის განმტკიცებაში.

პოლონეთი

ვარშავა. იმ დროს, როცა სსრ კავშირი, მისი მეგობრები და მოკავშირეები აძლიერებენ განიარაღებისა და მშვიდობისათვის ბრძოლას, ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები ადგენენ აშკარად საწინააღმდეგო კურსს და, გამოხატავენ რა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მისწრაფებას, კვლავ აძლიერებენ დაძაბულობას, წერს **„ტრიბუნა ლუდუ“**. საბჭოთა კავშირი, სოციალისტური თანამეგობრობის სხვა სახელმწიფოები მოქმედებენ და კვლავაც იმოქმედებენ

საბჭოთა კავშირმა, რომელიც მოქმედებს პლანეტის მთელი ხალხების ინტერესებისათვის, წამოაყენა თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს პრობლემათა გადაჭრის რეალისტური, კონსტრუქციული პროგრამა, რომლის მიზანია ბირთვული ომის საფრთხისაგან კაცობრიობის ხსნა, განიარაღება, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცება. იგი თანამიმდევრულად აყენებს გამალებული შეიარაღების ალაგმვის, ომის მატერიალური აპარატის დემონტაჟისათვის გათვალისწინებულ შორსგამიზნულ სამშვიდობო ინიციატივებს. ასეთია სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეების გამონათქვამები, მასობრივი ინფორმაციის იმ ორგანოების გამოსვლათა ძირითადი აზრი, რომლებიც კვლავ კომენტარს უკეთებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შედეგებს. მოხსენებას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა რომ გააკეთა პლენუმზე.

● საფრანგეთი

ტელევიზიის მუშაკთა გაფიცვა

პარიზი. პროფკავშირთა მოწოდებით გაფიცვა გამოაცხადეს საფრანგეთის ტელე და რადიოკომპანიების მუშაკებმა.

იგი ეწყობა მემარჯვენე პარტიების მთავრობის მიერ შემუშავებული იმ კანონპროექტის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომელიც ითვალისწინებს ტფ-1 სახელმწიფო ტელეკომპანიის დენაციონალიზაციას.

კანონპროექტის გამო ახლა საფრანგეთში მწვავე პოლიტიკური ბრძოლა გაჩაღდა. ტელეკომპანიის დენაციონალიზაციის წინააღმდეგ აქტიურად ილაშქრებენ საფრანგეთის კომპარტია, სოციალისტები, მრავალი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, კულტურის მოღვაწენი, მათ შორის ცნობილი კინორეჟისორები, მსახიობები, მუსიკოსები. პარიზსა და სხვა ქალაქებში უკვე გაიმართა საპროტესტო მანიფესტაციები და მიტინგები. ამას წინათ დაიწყო ხელმოწერების შეგროვება განცხადებაზე, რომელშიც მოითხოვენ კანონპროექტის გაუქმებას.

● ნიკარაგუა

ამხილეს ცილისმწამებლური აურზაური

მანაგუა. ცილისმწამებლური აურზაური, რომელიც ატყდა შეერთებულ შტატებში ნიკარაგუაში ან-30 საბჭოთა თვითმფრინავის ჩახვლასთან დაკავშირებით, ამხილა ნიკარაგუის ტერიტორიული კვლევის ინსტიტუტის დირექტორმა ალეხანდრო როდრიგესმა.

მანაგუაში გამართულ პრესკონფერენციაზე მან კატეგორიულად უარყო ვაშინგტონის მონაჩმახი, თითქოს თვითმფრინავი გათვალისწინებული ყოფილიყოს „სამხედრო-საჰაერო დაზვერვისათვის“. ან-30, რომელიც სპეციალურად აღჭურვილია ეროფოტოგადაღებისათვის, უნდა დაეხმაროს ნიკარაგუელ მკვლევარებს რუკების შედგენაში, რომლებიც აუცილებელია რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების მთელი რიგი პროექტების განსახორციელებლად, თქვა როდრიგესმა.

რეიგანის ადმინისტრაციის ცდა გააღვივოს სკანდალი საბჭოთა თვითმფრინავის გამო, შეერთებული შტატების მიერ გაჩაღებული აღვირახსნილი ნიკარაგუის საწინააღმდეგო კამპანიის შემადგენელი ნაწილია, რომელიც მიზნად ისახავს გაამართლოს აგრესიის ახალი აქტები ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ, ხაზგასმით აღნიშნა ტერიტორიული კვლევის ინსტიტუტის დირექტორმა.

გზრ

ბონი. მთელ ევროპაში — ატლანტიკიდან ურალამდე — ჩვეულებრივი შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა წინადადება კონსტრუქციული ხასიათისაა და ითვალისწინებს ორივე მხარის უშიშროების ინტერესებს, განაცხადა ბუნდესტაგის გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფრაქციის განიარაღების საკითხთა ერთ-ერთმა წამყვანმა ექსპერტმა კ. ფოიგტმა. ეს წინადადებები უნდა განვიხილოთ მოლაპარაკების მაგიდასთან.

იაპონია

ტოკიო. „ასაჰი“ წერს: საბჭოთა კავშირის სტრატეგია მიზნად ისახავს, რომ ჩიხიდან გამოიყვანოს ბირთვული განიარაღების შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკება. დასავლეთმა არ უნდა გამოაცხადოს ეს წინადადებანი „პროპაგანდად“, არ აუაროს მათ გვერდი დუმილით, არამედ სერიოზულად, საქმიანად შეისწავლოს ისინი და მიაღწიოს შეთანხმებას იმ პუნქტებში, რომლებიც მისაღებია ორივე მხარისათვის. სსრ კავშირმა ცალმხრივად შეწყვიტა ბირთვული გამოცდები, ამერიკის შეერთებული შტატები კი უწინდებურად განაგრძობს მათ. უფრო მეტიც. ვაშინგტონი აპირებს გააუქმოს ხელშეკრულება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ. განიარაღების პრობლემისადმი ამერიკის შეერთებული შტატების ასეთი მიდგომა აბრკოლებს დაძაბულობის შენელების პროცესს.

ინდოეთი

დელი. ინდოეთის კომუნისტური პარტიის ეროვნული საბჭოს გენერალურმა მდივანმა ჩ. რაჯეშვარა რომ აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მშვიდობის შენარჩუნებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებაში ჩამოყალიბებულ კონსტრუქციულ საბჭოთა წინადადებებს. საბჭოთა კავშირის ახალი სამშვიდობო ინიციატივები, განაცხადა მან, სსრ კავშირის პასუხია ამერიკის შეერთებული შტატებისადმი, რომელმაც განიზრახა არ დაიცვას სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულება და ხელშეკრულება რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის შესახებ.

● ინდოეთი

ინდოეთი

ბანგალორი. ინდოეთის ეროვნული ბიბლიოთეკა ბანგალორში ინდოეთის ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდებიდან ბეჭდავს ინდოელ ავტორთა ნაშრომებს. ბიბლიოთეკა ინდოეთის ეროვნული ბიბლიოგრაფიის ავტორია

სახალხო თეატრის ზეიმი

შუა კახეთის სხვა სოფლებთან ერთად ალაზნის ველზე გადაშლილია სოფელი ველისციხეც, რომელიც თავისი არსებობის მრავალ საუკუნეს ითვლის; აკი ამიტომ კახეთის არქეოლოგიური გათხრებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ველისციხის მიდამოებს. 1884 წლის „დროება“ (№ 191) გვაუწყებს: „... ეხლაც მისი (იგულისხმება ველისციხე — მ. გ.) პატარძალივით კოპწია მდგომარეობა ძნელად თუ ჩამოუვარდება იმგვარ მაზრის ქალაქებს, როგორიც არის სიღნაღი, ცოტა ხნის განმავლობაში გადაჭარბებითაც დაეჭიმბინება“. მაგრამ ამასთანავე ავტორი დაძენს, „ამ უმშვენიერეს სოფელ ერთი ნაკლი აქვს — ხელს უშლის უწყლობაო“.

მაშინდელი პრესა ადგილს უთმობს სოფლის საჭირბოროტო საკითხებს, მათ შორის ჭერმის ხევის უჯგიერობას, საფოსტო სამსახურის მოგვარების აუცილებლობას, განათლების საკითხებს. „გაზეთ „დროებაშიეე“ (1885 წ. № 140) მოთავსებულია ცნობა: „მომავალ ორკლასიან სასწავლებელთან აქ აპირობენ ქართული წიგნსაცავის დაარსებას. საჭირო ფულისთვის განიზრახვეს წარმოდგენის გამართვა სცენისმოყვარეთ. მაშინდელ პრესადანვე ვგებულობთ, რომ იქ ქართული წარმოდგენა გაუმართავთ, უთამაშიათ „ძუწი“ და „ბიძისთან გამოხუმრება“. წარმოდგენით საზოგადოება ნასიამოვნები დარჩენილა.

დღეს ველისციხეს ძველ ველისციხესთან მხოლოდ გეოგრაფიული მდებარეობა აკავშირებს. 2.600-ზე მეტ კომლიან სოფელში სულ — ახლახან 9 მაისს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა კინოთეატრის ახალი, ჩინებული შენობა, რომელიც აშენდა კულტურისა და დასვენების პარკში. სოფელს, ნაცვლად ორკლასიანი სკოლისა, დღეს აქვს ერთი საშუალო სკოლა, ერთი პროფტექნიკური სასწავლებელი, სამუსიკო სკოლა, ტელეგრაფით და ავტომატური ტელეფონით აღჭურვილი სოფლტო განყოფილება. ყველა ოჯახს გამოყვანილი აქვს საკუთარი წყალსადენი. ჭერმის ხევი, მტერი ველისციხელთა, რომელსაც ხმირად თავს დაუტეხია სოფლისათვის სტიქიური უბედურება, ბეტონის არტახებშია მომწყვდეული. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ თვით სოფელ ჭერემისკენ, რომელიც თვრამეტიოდე კილომეტრით არის დაშორებული, გაჰყავთ გზა და მალე ვახტანგ გორგასლისეული ციხე-ქალაქი ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდება.

ველისციხის თეატრალურ ცხოვრებასაც თავისი ისტორია აქვს. გაზეთ „დროების“ ზემოხსენებული ცნობა ჯერჯერობით ყველაზე უძველესი გახლავთ, რის საფუძველზეც გურჯაანის რაიონის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობის თაოსნობით ამ დღეებში ველისციხე თავისი სახალხო თეატრის ასი წლისთავს ზეიმობს.

რასაკვირველია, ერთ საგაზეთო წერილში შეუძლებელია თვი მოვუყაროთ და შევეფასოთ საუკუნოვანი ღვაწლი, რომელიც თავისთავად ცალკე შესწავლას იმსახურებს, მაგრამ თვალის ერთი გადავლებითაც კი შეიძლება წარმოვიდგინოთ ის წვლილი, ველისციხის სცენისმოყვარეთ რომ მიუძღვით ხალხის წინაშე. მათი წარმოდგენები თავისი დროისათვის დიდ როლს ასრულებდა სოფლის კულტურულ ცხოვრებაში, ხელს უწყობდა თეატრალური ხელოვნების ტრადიციების დანერგვას; ეს გახლდათ ცხოვრების დიდი სკოლა, ზნეობისა და გონების საზრდო.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ველისციხის თეატრიც, რესპუბლიკის პერიფერიის სხვა თეატრებთან ერთად, ჩაება ჩვენი ცხოვრების ფერხულში და ქართული რეალისტური სკოლის ტრადიციების კვალდაკვალ ცდილობდა ევლო. მუდმივ თეატრალურ დასს აქ ცნობილი ქართველი მწერლის, დრამატურგის, რეჟისორისა და სახოგადო მოღვაწის შალვა დადიანის ზრუნვის შედეგად ჩაეყარა საფუძველი და მან იარსება 1929 წლამდე. შემდეგ ამ კოლექტივის ბაზაზე შეიქმნა საკოლმეურნეო თეატრი, რომელიც 1931 წელს უკვე პროფესიულ სახელმწიფო თეატრად ჩამოყალიბდა.

ასე და ამრიგად, ველისციხის თეატრალური ცხოვრება თანდათან გახდა ინტენსიური, ამაღლდა მისი მხატვრული დონეც. თეატრის რეპერტუარი თემატიურად თუ ჟანრობრივად საკმაოდ მრავალპლანიანი იყო. თანამედროვე ცხოვრების ამსახველი ეროვნული დრამატურგიის გვერდით, თეატრი მნიშვნელოვან ადგილს უთმობს რუსულ, მოძმე ხალხთა და მსოფლიო დრამატურგიის ნიმუშებს. უყურადღებოდ არ იყო მოსწავლე ახალგაზრდობაც — სცენაზე იდგმებოდა ზღაპარიც. თეატრი ცდილობდა არ ჩამორჩენოდა ცხოვრებას.

დიდი სამამულო ომის პერიოდში თეატრის რეპერტუარში პატრიოტული და მებრძოლი ხასიათის ნაწარმოებები გამოჩნდა. დასი ხშირად მოგზაურობდა რაიონის სოფლებში, მართავდა კონცერტებს ჰოსპიტლებში: დასის ზოგიერთმა წევრმა თავი დასდო სამშობლოს თავისუფლებისათვის. (გ. ყაზაროვი, მ. ჭრელაშვილი, ვ. სამნიაშვილი, ი. ფარსადანოვი, ს. ისაკოვი, კ. ბახლიშვილი, კ. ხატინოვი, კ. ყაზაროვი და სხვ.). ომის დამთავრების შემდეგ ველოსიპედი მსახიობები და თანამშრომლები დაუბრუნდნენ თავიანთ თეატრს (ა. მესხი, მ. გომშიაშვილი, რ. ყაზაროვი, ბ. ტატიაშვილი, ა. ფერიშვილი, ვ. ნიკოლაიშვილი, ს. კალანდარიშვილი).

დასში ძირითადად ამ სოფლის მკვიდრნი და ხშირად მთელი ოჯახი ირიცხებოდა. მათ მიეტანენ რუსეფესიონალი მსახიობები. მ. მესხი, მ. ღაღაშვილი (ამჟამად თელავის თეატრის მსახიობი), ლ. თარალაშვილი და ი. შერაზადაშვილი (შემდეგ ცხინვალის, ხეთაგაროვის სახელობის თეატრის ქართული დასის მსახიობები), თ. ღვინიაშვილი (შემდეგ ქუთაისის მესხიშვილის სახელობის თეატრის მსახიობი, ხანშიას როლის ერთ-ერთი საუკეთესო შემსრულებელი) და სხვანი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს რესპუბლიკის სახალხო არტისტის სოსო მებურიშვილის ღვაწლი ველისციხის თეატრალური ცხოვრების განმტკიცებაში. იგი თითქმის ოცი წლის განძლზე იყო მთავარი რეჟისორი, არაერთი ,კარგი დადგმით გაამდიდრა თეატრის რეპერტუარი. ამასთანავე ახალგაზრდა კადრების მიზდვისა და მომზადების მიზნით იგი სტუდიურ მუშაობასაც ეწეოდა.

თეატრის დამაშვრალ მუშაკთა შორის უნდა მოვიხსენიოთ შ. მეავანაძე, გ. დარისპანაშვილი, ვ. ჩელთიხპირელი, ალ. ყაზაროვი (მას რუსთაველის სახელობის თეატრის სტუდია ჰქონდა დამთავრებული და მსახიობობასთან ერთდროულად რეჟისორულ მუშაობასაც ეწეოდა), გ. გაბისონია, ა. ჯედია, ლ. სვანელი, დ. ბალარჯიშვილი, მ. ღვინეფაძე, ა. დენტოშვილი, მ. იარალოვი და სხვანი.

1959 წლიდან ველისციხის თეატრმა მიიღო სახალხო თეატრის სტატუსი, მას ამჟამად ხელმძღვანელობს მოსკოვის ნ. კრუპსკაის სახელობის ხელოვნების სკოლის სარეჟისორო ფაკულტეტის კურსდამთავრებული ივანე კარდენახიშვილი. თეატრი აქტიურად მონაწილეობს ხოლმე რესპუბლიკის სახალხო თეატრების დათვალიერებებში.

დასის ხელმძღვანელებს კარგად ესმით თეატრის საღღეისო ამოცანები, ცოცხალი სიტყვის ზემოქმედების ძალა და დიდი ენთუზიაზმით მუშაობენ ყოველ ახალ დადგმაზე.

ველისციხელებს უყვართ თავიანთი სახალხო თეატრი.

გურჯაანის რაიონულმა ხელმძღვანელობამ განსაკუთრებული გულისყური გამოიჩინა საიუბილეო თარიღისადმი — ამ საზეიმო დღეებში ბალავარი ეყრება ველისციხის სახალხო თეატრის ახალ შენობას. ამ ლამაზ და ღონიერ სოფელს კვლავ ექნება თეატრალური კერა, რასაც უთუოდ იმსახურებენ აქაური გამრჯე ადამიანები.

მ. გოგოლაშვილი,
ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

ეკრანზე ნახევარი საუკუნის შემდეგ

დიახ, ამხელა დრო გასულა მას აქეთ, რაც ქართველმა დამთელმა საბჭოთა ხალხმა იზეიმა შოთა რუსთაველის დაბადების 750 წლის იუბილე. სწორედ ამ დიდმნიშვნელოვანი მოვლენის მონაწილენი გახდნენ ისინი, ვინც ამ დღეებში დაესწრო თბილისის კინოს სახლის შცირე დარბაზში 1986 წელს აღდგენილი სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის „შოთა რუსთაველის“ პრემიერას.

სცენარის ავტორი და რეჟისორია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ქართული დოკუმენტური კინოს ერთ-ერთი ფუძემდებელი შალვა ჩაგუნავა, რეჟისორის ასისტენტი — როდამ ამირეჯიბი. ცნობილ ოპერატორებს შორის ბურაკეფოვს, ფელიქს ვასოკცკის, ბორის კრეფსს, ონიკ მგაკიანს, ვლადიმერ მიქაბერიძეს, ნიკოლოზ ნაგორნის მიუძღვით წვლილი ამ სურათის ხორცშესხმაში. კომპოზიტორია შალვა აზმაიფარაშვილი, ხმის ოპერატორები არიან ევგენი მასი და დავით ლომიძე. რეჟისორ შალვა ჩაგუნავასთან ერთად დავით ლომიძეც ესწრებოდა ფილმს, რომელიც მათ 1938 წლის შემდეგ წლეულს პირველად იხილეს.

თბილისის კინოსტუდიის ეს ნაწარმოები აღდგენილია საქართველოს კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალური სახელმწიფო არქივის მუშაკების მიერ თვით რეჟისორ შ. ჩაგუნავასთან ერთად.

ეკრანზეა დიდი შოთა რუსთაველის პირველი საიუბილეო ზეიმის დღეები არა მარტო თბილისსა და საქართველოში, არამედ მოსკოვში, ბაქოსა და ერევანში, ხაბაროვსკში. გაცოცხლდნენ ამ ზეიმის სულისჩამდგმელი და მონაწილე ქართველი, რუსი თუ მოძმე ხალხთა მწერლები და ხელოვნების მოღვაწენი, ეკრანზე ვხედავთ მათ, ვინც დღესაც ჩვენთან არის და იმათაც, ვინც უკვე საუკუნოდ გაგვშორდა; გვესმის მათი ხმა!

საგულისხმოა, რომ ეს ერთერთი პირველი ქართული სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმია. ღაღწმოსილმა კინომატიანემ შალვა ჩაგუნავამ, გარდა ქართულისა (8-ნაწილიანი), რუსული (5-ნაწილიანი) ვარიანტიც შექმნა. სწორედ ფილმის რუსული ვარიანტია დღესდღეობით აღდგენილი. **(„კომუნისტის კორ.“)**

ბ ვ ი მ ე ბ ზ უ რ ე ს...
ა ვ ტ ო გ რ ა ფ ე ბ მ ა

ექსპოზიციის მონაწილე მხატვართა ავტოგრაფებით აჭრელებული აფეშა მხატვრის სახლში ქართული სახვითი ხელოვნების რეტროსპექტულ გამოფენაზე გვიწვევდა.

— მოგეხსენებათ, — გვითხრა მხატვრის სახლის დირექტორმა, მხატვარმა თეიმურაზ გოცაძემ, — ქართული სახვითი ხელოვნების რეტროსპექტული გამოფენა მთელი ციკლია. ამჯერად ჩვენი საგამოფენო დარბაზები მის მეორე ექსპოზიციას ჰქონდა დათმობილი. აქ ოცდაექვსი მხატვრის 260 ნამუშევარი წარმოადგინეთ, ძირითადად, ფერწერული ტილოები. ექსპოზიციის მიზანი იყო ერთგვარად შეეჯამებინა 60-იანელთა ბოლოდროინდელი შემოქმედებითი მიღწევები. ეს ის თაობაა, ქართული მხატვრობა ახლებური თემატიკით რომ წარმოაჩინა საკავშირო სარბიელზე. ამას გარდა, ცალკეულ მხატვართა ზოგმა ნამუშევარმა ხელოვნების მოყვარულთა გარკვეული წარმოდგენა შეუქმნა მათს ხელწერასა და გემოვნებაზე, სტილზე, შემოქმედებითს ძიებებსა თუ ექსპერიმენტებზე.

... და მართლაც, მხატვრების ნ. იგნატოვის ქართულ ხალხურ მოტივებზე შექმნილ ტილოებს „ფიროსმანის გახსენება“, „ბერიკაობა“, „თბილისობა“, „სიბრძნე სიცრუისა“, „ქახელები“, მ. ახობაძის „იმერეთ პეიზაჟებს“, ე. ონიანის უაღრესად ფერწერულ, დაბეჭდილ პორტრეტებს, ლ. ბაიახჩევის, თ. ჯაფარიძის, გ. თოიძის, რ. თორდიას, ბ. ჰელიძის, ლ. კაჭარავას, ნ. მესხიძისა და სხვათა ფსიქოლოგიურ პორტრეტებს, ნატურმორტებსა და პეიზაჟებს დიდი მოწონება ჰქონდა ამ გამოფენაზე.

ქ. მელიქიძე.

სურათებზე: ე. ონიანის „ფერწერის სეანსი“ და მ. ახობაძის „ზამთარი წულრულაშენში“.

მიმქღვნა ვაჟა-ფშაველას

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმმა თავისი მორიგი ტრადიციული „ხუთშაბათი“ მიუძღვნა ვაჟა-ფშაველას, რომლის დაბადების 125 წლისთავი სრულდება ამ ზაფხულს.

ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობის შესახებ თავის გამოსვლაში ილაპარაკა სახლ-მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს წევრმა, რესპუბლიკის მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ, პროფესორმა აპოლონ მაზარაძემ.

(საქინფორმი).

პრემიერა თელავის თეატრში

თელავი. (საკ. კორ.). თელაველმა მაყურებელმა კიდევ ერთი კარგი სპექტაკლი ნახა, მორიგ პრემიერად აქ წარმოდგენილი იყო შადიმან შამანაძის პიესა „ერთხელ მხოლოდ, ისიც ძალში.“

სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის რეჟისორ კოტე მირიანაშვილს, მხატვრობა — თამაზ როსტომაშვილს, კოსტიუმების მხატვარია მაია სხირტლაძე, სპექტაკლი მუსიკალურად გააფორმა ია საკანდელაძემ.

მთავარ როლებს ასრულებენ ცისანა გიგაური, მაია ბოჩელაშვილი, მარინე ზაუტაშვილი, მანანა კუპუნიძე და სხვები.

კონცერტი ფერმაში

ცაგერი. (საკ. კორ.). ნაყოფიერად მუშაობს ალპინის სასოფლო კულტურის სახლისა და ზოგიშის საკოლმეურნეო კლუბის გაერთიანებული ანტიმხატვრული ბრიგადა. მსახიობები ამ დღეებში ახალი საკონცერტო პროგრამით ეწევიენენ ალპინის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის მუშაკებს.

კონცერტის პროგრამაში იყო ქართული სიმღერები, მინიატიურები და სკეტჩები.

მექსიკის ტალღაზე

MEXICO86

საჩემპიონატო კაზადონი

მექსიკიდან მოვიდა ცნობა, რომ სსრ კავშირ-ბელგიის მატჩის ერთ-ერთი გვერდითი მსაჯი, ესპანელი ვიქტორიანო სანჩესი, რომელმაც ორი უხეში შეცდომა დაუშვა და რამაც გავლენა მოახდინა მეხვედრის შედეგზე, მსოფლიო ჩემპიონატის მოძღვენო შეხვედრებზე აღარ იმსაჯებს.

ქალაქ ირაპუატოს გაზეთმა „ცენტრომ“ აღნიშნა, რომ ამ ქალაქის მცხოვრებნი საბჭოთა ნაკრებს თვლიდნენ თავიანთ გუნდად, ჩვენი გუნდის შინ გამომგზავრების წინ გაზეთმა დაბეჭდა რამდენიმე ინტერვიუ საბჭოთა ფეხბურთელებთან და მას სათაურად შემდეგი წარუმძღვარა: „ნახვამდის, საბჭოთა მეგობრებო!“

ესპანეთისა და დანიის ნაკრები გუნდების მატჩის შემდეგ ესპანელთა მწვრთნელმა მიგელ მუნიოსმა განაცხადა: — მჯეროდა, რომ გამარჯვებას მოვიპოვებდით. მაკვირვებს მხოლოდ ის, რომ წარმატებას ყველა დანიელებს უწინასწარმეტყველებდა. ჩვენ ხომ საკმაოდ ძლიერი ფეხბურთელები გვყავს. ამასთან ისიც უნდა გავთვალისწინებინათ, რომ ესპანეთის საკლუბო გუნდები წლითიწლობით ევროპის საკლუბო ტურნირებში შთამბეჭდავ წარმატებებს აღწევენ.

მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეთაგან ყველაზე მეტად დაისაჯნენ ურუგვაელები: დისკვალიფიცირებული იყო ამ გუნდის უფროსი მწვრთნელი, ორი ფეხბურთელი მოედნიდან გააძევეს, ხოლო თერთმეტმა გაფრთხილება მიიღო.

ჩემპიონატის მეოთხედფინალური ეტაპის მატჩების დაწყებამდე შეჯიბრების ბომბარდირები არიან ესპანელი ბუტრაგენიო და ინგლისელი ლინეკერი. ორივემ მეტოქეთა კარში 5-5 ბურთი გაიტანა, ოთხმა ფეხბურთელმა 4-4— ესენი არიან კარეკა (ბრაზილია), ელკიაერი (დანია), ალტობელი (იტალია) და ბელანოვი (სსრ კავშირი). 3-3 ბურთი გაიტანეს ვალდანომ (არგენტინა) და ე. ოლსენმა (დანია).

ტელეეკრანებზე...

ცენტრალური ტელევიზია ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის მორიგ მატჩებს ასეთი განრიგით გადმოსცემს:

მეოთხედფინალური მატჩები

პირველი პროგრამა
21 ივნისი

23.00. ბრაზილია — საფრანგეთი.

22 ივნისი

12.30. მექსიკა — გფრ.
22.45. ჩემპიონატის დღიური.
23.00 არგენტინა — ინგლისი.

მეორე პროგრამა

9.30. ბრაზილია — საფრანგეთი (21 ივნისის ტელეტრანსლაციის განმეორება).

პირველი პროგრამა
23 ივნისი

10.00. ბელგია — ესპანეთი.
23.00 ბელგია — ესპანეთი.

მეორე პროგრამა

11.35. არგენტინა — ინგლისი (მეორე ტაიმი).

შესაძლებელია მოხდეს ცვლილებები, რასაც რადიოთი და ტელევიზიით შეიტყობთ.

სატურნირო ორბიტა

ცურვა. კიევში მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატის მეორე დღეს ცალკეულ სახეობებში ქალთა შორის პირველ ადგილებზე გამოვიდნენ: ი. გაპონი (უკრაინა; 50 მ თავისუფალი სტილით— 26,67), ნ. კუზმინა (რსფსრ; 400 მ თავისუფალი სტილით—4.22,27), ს. კოპჩიკოვა (უკრაინა; 400 მ კომპლექსური — 4.55,18); ვაჟებში უძლიერესი იყვნენ: გ. პრიგოდა (რსფსრ; 50 მ თავისუფალი სტილით — 23,24), ვ. სალნიკოვი (მოსკოვი; 400 მ თავისუფალი სტილით — 3.51.52) და ვ. იაროშჩუკი (უკრაინა; 400 მ კომპლექსური — 4.24,26).

ფარიკაობა. მკითხველებმა უკვე იციან, რომ ლენინგრადში რაპირისტ ვაჟთა შორის საკავშირო ჩემპიონატზე ვინ მოიპოვა საპრიზო ადგილები. შევნიშნავთ იმასაც, რომ ამ შეჯიბრებაზე საქართველოს წარმომადგენელმა ვ. აფციაურმა მეხუთე ადგილი დიაკავა. ქალთა შორის უძლიერესი იყო ვ. სიდოროვა. მან ფინალში დაამარცხა თანაქალაქელი ლ. მოროზოვა. ბრინჯაოს მედალი წილად ხვდა კუბიშეველ ლ. საღოვსკაიას. რაპირისტ ვაჟთა გუნდური ასპარეზობა მოიგეს ბელორუსიის მოფარიკავეებმა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ მოსკოველები, მესამეზე — აზერბაიჯანელები.

რედაქტორის მოადგილე
დ. იოსელიანი.

მოსკოვი

21 ივნისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — „მინდა ყველაფერი ვიცოდე“. 9.50 — სასკოლო რეფორმა: ორი წლის შემდეგ. 10.20 — კონცერტი. 10.50 და 18.30 — მულტფილმები. 11.10 — ყველასა და თითოეულისათვის. 11.40 — დოკუმენტური ფილმი „1945 წლის გამარჯვების პარადის მონაწილეებისათვის“. 12.30 — „შორეული და ახლობელი სამღერა“. 13.20 — „შესდექ, წამო“. 14.05 — მხატვრული ფილმი „ტრაქტორისტები“. 15.30 — ახალი ამბები. 15.45 — ცხოველთა სამყაროში. 16.45 — მხატვრული ფილმი „თილისმა“. 17.45 — კონცერტი. 18.10 — პოეტური ანთოლოგია. ა. ტვარდოვსკი. 18.55 — „22 ივნისი...“ დიდი სამამულო ომის დაწყების 45 წლისთავისათვის. 20.00 — ქ. ბრესტისა და მისი ოლქის ახალგაზრდობის შეხვედრა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების მეომრებთან. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — ჩაიკოვსკის სახელობის კონკურსი. 23.00 — მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. მეოთხედფინალი.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ჭარჯიში. 9.20 — დოკუმენტური ტელეფილმები. 9.30 — რიტმული ტანვარჯიში. 10.15 — — „ფარი და მახვილი“. მეოთხე სერია. 11.30 — დილის ფოსტა. 12.00 — მულტფილმები. 12.20 — ჩვენი ბაღი. 12.50 — მხატვრული ფილმი „მეოთხე მაღლობი“. 14.05 — სტადიონი ყველასათვის. 14.35 — მიხეილ კარლოვიჩი. „ტრიატლონი“. № 10 თხზულება. 15.05 — ცურვა. 15.35 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „მარკ რეიზენი. ერთი დღე და მთელი ცხოვრება“. 15.55 — მიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია“. მეთერთმეტე სერია. 16.50 — ცხენსნობა. 17.20 — „რა? სად? როდის?“. ტელევიქტორინა. 18.50 — რეკლამა. 18.55 — „ოპერეტის მოყვარულთა“. 19.45 — ფილმ-სპექტაკლი „ვარსკლავთცვენა“. 21.00 — „ძილი ნებისა, ბული ძალების მეომრებთან. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — ჩაიკოვსკის სახელობის კონკურსი. 23.00 — მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. მეოთხედფინალი.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ჭარჯიში. 9.20 — დოკუმენტური ტელეფილმები. 9.30 — რიტმული ტანვარჯიში. 10.15 — — „ფარი და მახვილი“. მეოთხე სერია. 11.30 — დილის ფოსტა. 12.00 — მულტფილმები. 12.20 — ჩვენი ბაღი. 12.50 — მხატვრული ფილმი „მეოთხე მაღლობი“. 14.05 — სტადიონი ყველასათვის. 14.35 — მიხეილ კარლოვიჩი. „ტრიატლონი“. № 10 თხზულება. 15.05 — ცურვა. 15.35 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „მარკ რეიზენი. ერთი დღე და მთელი ცხოვრება“. 15.55 — მიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია“. მეთერთმეტე სერია. 16.50 — ცხენსნობა. 17.20 — „რა? სად? როდის?“. ტელევიქტორინა. 18.50 — რეკლამა. 18.55 — „ოპერეტის მოყვარულთა“. 19.45 — ფილმ-სპექტაკლი „ვარსკლავთცვენა“. 21.00 — „ძილი ნებისა, ბული ძალების მეომრებთან. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — ჩაიკოვსკის სახელობის კონკურსი. 23.00 — მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. მეოთხედფინალი.

ორშაბათი, 23 ივნისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — „ჩვენს დიდ სამშობლოში“. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ვიბორგი“. 10.00 — მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. მეოთხედფინალი. 11.30 — მუსიკალური შესვენება. 11.35 — მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. მეოთხედფინალი. 12.20 — სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა“. მხატვრული ფილმი „ჩემი პირველი მეგობარი“. 13.20 — საინფორმაციო გამოშვება. 13.35 — მოსწავლეთათვის. „იეოდეთ თქვენი სიცილი, კოცნა — დაბრუნება წართმეულ წლების“. 14.35 —, სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ფიქრი სიყვარულზე“. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.25 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „პირველი სამედიცინო დახმარების რაზმი“. 16.40 — მოსწავლეთათვის. „თეატრი და ბავშვები“. 17.35 — ახალგაზრდობისათვის. „საბჭოთა კავშირის გმირი სერგო ჭიღლაძე“. (ბელორუსიის ტელევიზიის გადაცემა). 17.55 — სპორტული პროგრამა. 18.45 — „ბალეტის მოყვარულთათვის“ (თ. სანაძე). 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.). 20.00 — მოამბე. 20.35 — „დიალოგი პოლიტიკურ თემაზე“. 21.00 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმები: „კოჯრის ტყის სიზმრები“, „სიყვარულო, ძალსა შენსა“ (რ. გაბრიაძის დაბადების 50 წლისთავის გამო). 22.00 — „ვრემია“. 22.40 — კონცერტი. 23.00 — მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში მეოთხედფინალი.

მეორე პროგრამა. 16.40 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „საბჭოთა კავშირის ბიოსფერული ნაკრძალი“. 17.40 — მხატვრული ფილმი „კიში და ორჩანთა“.

სამშაბათი, 24 ივნისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.10 — „დიალოგი პოლიტიკურ თემაზე“ (განმეორებით). 10.35 — სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა“. მხატვრული ფილმი „ბიჭუნა“. 12.00 — მოსწავლეთათვის „თეატრი და ბავშვები“. (განმეორებით). 13.00 — ქართული ენის ტელეკურსი. 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 13.45 — აბიტურიენტთათვის. ქიმია. 14.15 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „პაერის გამოდეული“. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — შევისწავლოთ ინგლისური ენა. 16.45 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.55 — დოკუმენტური ფილმი „მშვიდობა ჩვენს სახლში“ (პრემიერა). 17.55 — მოსწავლეთათვის. „კინომოზაიკა“. 18.35 — პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე. 19.15 — „მეცნიერების სამყაროში“. 19.45 — „სტუდიაშია რეჟისორი“ (გადაცემა პირველი). 20.00 — მოამბე. 20.35 — „ჩვენი პრემიერა“. ქართული სატელევიზიო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მახარე“. 21.10 — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისადმი. საგუნდო მუსიკის ფესტივალი გორში. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „ჩვენი საუკუნე გიცავს უახლესი“. 22.45 — კინოს სამყაროში“. 24.00 — საინფორმაციო გამოშვება.

მეორე პროგრამა. 16.35 — დოკუმენტური ფილმი „ივანე პირიევი“. 17.35 — მხატვრული ფილმი „ბელოდეთ კუნძულებო“. 18.45 — კინოჟურნალი მეცნიერება და ტექნიკა“.

ოთხშაბათი, 25 ივნისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.10 — ავსტრალიური შთაბეჭდილებები (განმეორება). 11.30 — სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა“. მხატვრული ფილმი „დასვენრნობდა ძალლი როიალზე“. 12.35 — საბჭოური ცხოვრების წესი. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩემს თავზე ვიღებ“. 13.05 — მათემატიკის ტელეკურსი. 13.35 — საინფორმაციო გამოშვება. 13.50 — ლიტერატურული თეატრი „წამება დედოფლისა“ (ანმეორება). 14.25 — კინოჟურნალი „მინდა ყველაფერი ვიცოდე“. 14.35 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „დრო, შვილმა ცოლი შეირთოს“. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — შევისწავლოთ გერმანული ენა. 16.45 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.55 — დოკუმენტური ფილმი „უკანასკნელი სიტყვა“. 17.35 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჭიდაობას რა უნდა“. 18.05 — მოპატარები“. 21.15 — მძლეოსნობა. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — მხატვრული ფილმი „ჯვარისკაცი ფრონტიდან დაბრუნდა“. 24.00 — ახალი ამბები.

თბილისი

21 ივნისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.05 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 10.15 — შევისწავლოთ ქართული ენა. 10.40 — სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა“. მხატვრული ფილმი „ვეტიანზე, მაშაზე და საზღვაო ქვეითის ჯარზე“. 11.55 — პოეზიის ხუთი წუთი. 12.00 — მოსწავლეთათვის. „ვუმღერთ სამშობლოს“. 12.25 — „დარჩა ლეგენდად“ საბჭოთა კავშირის გმირი ვახტანგ ლეჟავა. 12.50 — პოეზიის ხუთი წუთი. 12.55 — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისათვის. „ფესტივალი ძალას იკრებს“. 14.10 — პოეზიის ხუთი წუთი. 14.15 — ქართული დოკუმენტური ფილმი „აკადემიკოსი ოთარ ონიაშვილი“. 14.30 — შევისწავლოთ რუსული ენა. 15.00 — „შემოქმედებითი პორტრეტები“. ფაზილ ისკანდერი. 16.00 — საინფორმაციო გამოშვება. 16.10— პოეზიის ხუთი წუთი. 16.15 — სამხრეთი საზღვრების სადარაჯოზე. სატელევიზიო ჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. 17.00 — „ლამაზი სიცოცხლის გაგრძელება“. 17.25 — პოეზიის ხუთი წუთი. 17.30 — ხელოვნების ლექტორიუმი (ძველი ეგვიპტის ხელოვნება). 18.10 — „მოქმედების, გარდაქმნის, წინსვლის პროგრამა“. „ჩვენი სოფელი“. 19.20 — პოეზიის ხუთი წუთი. 19.26 — „ცეროდენას ეკრანი“. 19.35 — „ეკალი ნათელი“. მიხეილ ლელაშვილი. 19.45 — აჩვენებს სატელევიზიო თეატრი. ო. იოსელიანი „ადამიანი იბადება ერთხელ“. 21.00 — მომამბე. 21.35 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „პორტრეტი“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — გადაცემა ა. ბალანჩივაძე. 23.00 — მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. მეოთხედფინალი.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ

ᲪᲘᲡᲤᲠᲘᲡ ᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲐᲠᲮᲘᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ, 27 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.10 — საერთაშორისო მიმოხილველები ქარხანა „ელექტროაპარატის“ მშრომელებთან“ (განმეორებით). 10.40 — საბჭოური ცხოვრების წესი. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ადამიანი“. 11.10 — სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა“. ქართული მხატვრული ფილმი „მამლუქი“. 12.45 — სცენები მუსიკალური სპექტაკლებიდან. 13.35 — საინფორმაციო გამოშვება. 13.50 — ფიზიკის ტელეკურსი. 14.20 — სატელევიზიო დოკუმენტ